№073
(12 143)
29 მარტი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი

# როცა ფარერებთან მეკარე გადაგვარჩენს

## რა სარგებლობა შეიძლება მოიტანოს ასეთმა თამაშმა? ერთადერთი: ლიტვას გავასწარით და მეხუთე ადგილზე ვართ



საქართველო-ფარერები 3:1. ორი გოლი ალექსანდრე იაშვილმა გაიტანა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**ლევან ჯანეზაშვილი**

გამართლდა ფარერელთა თავკაცის სიტყვები - **იოგვან მარტინ ოლსენი** მატჩამდე ამბობდა, ბოლო თვეებში საგრძნობი პროგრესი გვაქვს და აგვისტოში მიღწეული შედეგის იმედი ნუ გექნებათო. ნამატჩევს სტუმრები კმაყოფილებას ვერ მალავდნენ, მათი პროგრესი კი მხოლოდ ის გახლავთ, ამ შესარჩევის პირველი ბურთი ჩვენს ეროვნულზე რომ გაიტანეს. ჩვენი წინსვლა კი ჯერ მხოლოდ მეხუთეობაა.

როგორც მოსალოდნელი იყო, გულშემატკივარს ამ შეხვედრის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი არ გამოუჩენია. ალბათ, შოტლანდიური ფრე სტადიონს სანახევროდ მაინც შეავსებდა. ქომაგობაც არ ყოფილა მაინცდამაინც შთამბეჭდავი, პუბლიკის გააქტიურება უფრო ხშირად ჩვენი ფეხბურთელებისკენ მიმართული სტვენით გამოიხატებოდა.

**ტოპმიოლერის** ტაქტიკა სიურპრიზი არ ყოფილა. კლაუსმა საფრანგეთთან გამოყენებული სქემა აღადგინა და ძირითადში სამი ფორვარდი გაამწესა. **იაშვილი** და **დემეტრაძე** ჩვეულებისამებრ, სისტემატურად ცვლიდნენ ფლანგებს, **სირაძემ** კი ცენტრფორვარდის პოზიცია დაიკავა. მწვრთნელს დაცვასა და ნახევარდაცვაში დიდი არჩევანი არ ჰქონია, უკანახაზელთა დეფიციტის გამო, შესაბამისად, დაცვის ცენტრსა და მარცხენა ფრთაზე გაამწესეს **ცქიტიშვილი** და **კვირკველია**. გლაზგოურ მატჩთან შედარებით, საქართველოს ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში ხუთი ცვლილება განხორციელდა.

ფარერელთა განლაგება კი იყო ტრადიციული 4-4-2, მაგრამ დროის უდიდეს ნაწილს მათი თერთმეტივე ფეხბურთელი საკუთარ ნახევარზე ატარებდა. სამაგიეროდ, **ლომაიას** საჯარიმოსთან სტუმართა ყოველი მიახლოება ხიფათით სრულდებოდა.

მატჩის პირველივე წამებიდან ქართველებმა იოლად იგდეს ხელთ სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა და აქტიურად შეუტიეს. ფარერელები, როგორც უკვე ვთქვით, საქართველოს ნაკრების ნახევარზე იშვიათად გადადიოდნენ. ოლსენის ჩანაფიქრი თავიდანვე გამოიკვეთა. კუნძულელები კონტრშეტევებზე იყვნენ დაგეშილნი და თუკი პირველ ტაიმში ამ საქმისგან ბევრი არაფერი გამოუვიდათ, შესვენების შემდეგ, მეტოქის უსახური გარჯით ხშირად სარგებლობდნენ.

2

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
პროფესიული ლიგის
www.pfl.ge

**საქართველო-ფარერები**

**3:1**

28.03.07. თბილისი. ეროვნული
15 000 მაყურებელი

1:0 სირაძე (26), 2:0 იაშვილი (45. კობიაშვილის პასით), 2:1 რ. იაკობსენი (55. ოლსენის პასით), 3:1 იაშვილი (90. პენ.)

საქართველო: ლომაია - შაშიაშვილი, სალუქვაძე, ცქიტიშვილი, კვირკველია - კანკავა, კობიაშვილი (60. მენთეშაშვილი), მუჯირი - იაშვილი, სირაძე, დემეტრაძე

სათადარიგოები: რევიშვილი, ელიავა, კობახიძე, გრიგალაშვილი, ბურდული, აშვეთია

ფარერები: მიკელსენი - ოლსენი, ბენიამინსენი, იოჰანესენი, დიურჰუუსი - დანიელსენი, ბორგი (90. სამუელსენი), ტომასენი, რ. იაკობსენი - კ. იაკობსენი, ფლოტუმი (43. ჰოლსტი)

სათადარიგოები: მ. იონსენი, ს. იონსენი, ჰანსენი, ნოლსოე, ჰორგი

გაფრთხილება: კობიაშვილი (54), ბენიამინსენი (58), სირაძე (62)

გაძევება: ბენიამინსენი (62)

მსაჯი: პ. სალი (ყაზახეთი)



დავით სირაძის გოლი

# როცა ფარერებთან მეკარე გადაგარჩენს...

*პირველი გვერდიდან*

მე-12 წუთზე პირველი ნალდი საგოლე შანსი გვქონდა. **შაშიაშვილის** ჩამოწოდებულს სირაძემ ეფექტური თაური მიაყოლა, სტუმრები ძელმა იხსნა. ამ ეპიზოდამდე წითელმაისურიანებმა რამდენიმე არაფრისმომტანი კუთხურის მოწოდება მოასწრეს.

იაშვილმა ხელსაყრელი მანძილიდან ააცილა, მალე 26-ე წუთიც დადგა. დასარტყამ პოზიციაზე გასულ ფრაიბურგელს მეურვემ ორთაბრძოლა მოუგო, მაგრამ ბურთი უხეიროდ მოიგერია, ახლო მანძილიდან სირაძემ ბოძებული საჩუქარი შეირგო - 1:0.

თამაშის შინაარსი არც ამის შემდეგ შეცვლილა, ბურთს ვაკონტროლებდით, ფარერელები კი მაქსიმალური მობილიზებით იცავდნენ თავს. კუთხურებით ვერც ამჯერად ვიხეირეთ, სამაგიეროდ, დემეტრაძე-**კობიაშვილი**-იაშვილის სამსვლიანი კომბინაცია იყო ყველაზე აზრიანი, რაც გუშინ ჩვენმა გუნდმა გააკეთა. ყველაფერი უმაღლეს დონეზე შესრულდა, იაშვილს შეტევის დაგვირგვინება არ გასჭირვებია და თითქოს ყველა კითხვის ნიშანიც იქვე მოიხსნა...

...პირველი ტაიმის წამატებულ დროს მოედანზე ახალშესულმა **ჰოლსტმა** თავური ოდნავ ააცილა, ეს პირველი საგანგაშო სიგნალი იყო.

ფარერელებმა პირველი კუთხური მეორე ნახევარში მოაწოდეს, შორეულ დარტყმებსაც მოუხშირეს და... ჩვენმა დაცვამ პირველი უპატიებელი შეცდომა დაუშვა, **სუნი ოლსენის** პასით **როგვი იაკობსენმა** ამ ციკლში პირველი ფარერული გოლი გაიტანა.

კობიაშვილს თავი ტრავმამ შეახსენა, მის ნაცვლად შესულმა **მენთეშაშვილმა** დაცვაში დაიკავა ადგილი, რის შემდეგაც ცქიტიშვილი შეტევებში უფრო ხშირად ერთვებოდა. ლევანს, სხვებთან შედარებით, საყვედური ნაკლებად ეკუთვნის, მისთვის უჩვეულო ფუნქციებს თავი ნორმალურად გაართვა.

სტუმრებმა რამდენიმე წუთში უნაღდესი შანსი გაატანეს ქარს. ლომაიამ შორიდან დარტყმული ხელში ვერ შეიმაგრა, **ბორგმა** კი ფეხი მეტისმეტად უკლასოდ მოიქნია და სამიოდე მეტრიდან ააცილა.

ტრიბუნებზე სტვენამ იმატა, ამის პროპორციულად კი ბავშვურმა შეცდომებმა ჩვენს ნაკრებში. **ჰოლსტი** ბურთიანად მეკარეს მიუახლოვდა, მაგრამ **სალუქვაძემ** ივაჟკაცა და მეტოქის თავდამსხმელი წესების სრული დაცვით შეაჩერა.

სტუმრები ქართველთა გახშირებული უზუსტობებით შესანიშნავად სარგებლობდნენ და უფრო და უფრო თამამად გვიტევდნენ - როცა ლომაიამ ჰოლსტის ათიოდ მეტრიდან დარტყმულისგან გვიხსნა, კუნძულელები კარგა ხნის კაცნაკლულნი იყვნენ.

ბოლო წუთები კიდევ უფრო ქაოსური გამოვიდა, ოლსენის ბიჭებმა ერთიც გაიბრძოლეს, ჩვენებს უკან არ დაუხევიათ და რამდენიმე უგერგილო შეტევის შემდეგ, ყაზახმა არბიტრმა დემეტრაძის წაქცევისთვის პენალტი დანიშნა.

**მიკელსენი** მარცხნივ გადახტა, იაშვილმა კი ბურთი საპირისპირო კუთხეში გაგზავნა. საფინალო სასტვენიც რამდენიმე წამში გაისმა.

საერთო შთაბეჭდილებაზე რა გითხრათ, იყო ძალიან ბევრი წუნი გადაცემებში, ისეთ მომენტებშიც, როცა ჩვენებს მჭიდროდ არ მეურვეობდნენ. ვერაფერი გამოვადნეთ ბარე ორი ათეული კუთხურიდან და რამდენიმე ხელსაყრელი ჯარიმიდან, საშუალო და შორი დისტანციიდან ერთი ხეირიანი დარტყმაც არ შესრულებულა. მეტოქის მასირებული დაცვის გამო, ძალიან ჭირდა ზოგადად, საგოლე მომენტების შექმნაც. ისევე როგორც გლაზგოში, ყველაფრის თავი და თავი აქაც ნახევარდაცვის სუსტი გარჯა იყო. კობიაშვილს ლიდერის ტვირთის ზიდვა მხოლოდ ეპიზოდურად გამოსდიოდა, **კანკავას** და **მუჯირს** თამაში არ წაუვიდათ, დემეტრაძისა და იაშვილის ფლანგური გარღვევები კი მეორე ტაიმში ნაკლებად ეფექტური იყო.

ბუნებრივია, ისიც გასათვალისწინებელია, ისედაც სერიოზული საკადრო დანაკლისი შოტლანდიის შემდეგ სამი კაცით გაიზარდა, მაგრამ ფარერებთან გაცილებით დამაჯერებელი თამაში იყო საჭირო.

ერთი მხრივ, შეიძლება იმის თქმაც, რომ გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, სუსტ მეტოქეს ძალების დაზოგვით ვაჯობეთ, მაგრამ რა ვუყოთ იმ ამბავს, პენალტამდე ჩვენი გამარჯვება ბეწვზე რომ ეკიდა?

ცალკე აღებული საქართველო-ფარერები ოპტიმიზმის საფუძველს ნამდვილად ვერ გვაძლევს, თუმცა მანამდე შოტლანდია-საქართველო იყო... იმედია, ტოპმიოლერი და მისი შეგირდები ბოლო ორი მატჩში მრავლად დაშვებული შეცდომებისგან სათანადო დასკვნებს გამოიტანენ. თამაშის გუშინდელი ხარისხით შორს ვერ წავალთ...

სტატისტიკურად კი ასეა: ამ ორი შეხვედრისთვის დასახული პროგრამა-მინიმუმი შესრულებულია, ამ სამი ქულით ლიტვა ჩამოვიტოვეთ და ჯგუფში მეხუთე ადგილზე ვართ. ესეც ერთადერთი პლუსი გუშინდელი მატჩიდან.

**ნუგზარ სუარიძის** ფოტოები



გოლი საქართველოს ნაკრების კარში



გახსენი... ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია

# კლაუს ტოპმიოლერი: ცუდად ვითამაშეთ და კრიტიკას ვიმსახურებთ

მატჩისშემდგომპრესკონფერენციაზე ფარერების მთავარი მწვრთნელი **იოგვან მარტინ ოლსენი** კმაყოფილი ჩანდა.

**- მატჩამდე ბრძანეთ, რომ ჩვენ ჩვენი შედეგის მიღწევას შევეცდებითო. მიაღწიეთ?**

- თამაშამდე ვთქვი, რომ შევეცდებოდით ჩვენი ფეხბურთის ჩვენებას და კმაყოფილი ვარ, რომ ეს მოვახერხეთ. საქართველოს წინააღმდეგობა გავუწიეთ. ეს შეხვედრა წინას ნამდვილად არ ჰგავდა. მიხარია, რომ ჩვენს თამაშში პროგრესი გამოჩნდა.

მეორე კითხვა უეფას მედია ოფიცერმა **მამუკა კვარაცხელიამ** დასვა. იგი დაინტერესდა, ფარერების მწვრთნელი რამხელა ჯამაგირს იღებდა. ქვეტექსტი გასაგები იყო, კლაუს ტოპმიოლერი მილიონებს იღებს და მის გუნდს გაცილებით დაბალი ხელფასის მქონე სპეციალისტის მიერ მოყვარულთაგან დაკომპლექტებული გუნდი წინააღმდეგობას უწევს და ეს სირცხვილიაო.

პრესკონფერენციას ფედერაციის პრესატაშე **სანდრო ცნობილაძე** უძღვებოდა და საკითხის კონფიდენციალურობის მომიზეზებით, შემდეგ კითხვაზე გადავიდა.

**- რა შეიცვალა თქვენი ნაკრებისთვის ამ ორ შეხვედრას შორის?**

- ჩვენ წლიდან წლამდე მოთამაშეებს ვკარგავდით. პირველი შეხვედრისთვის გუნდის შემადგენლობა მთლიანად შეიცვალა, რამდენიმე ფეხბურთელიც გვაკლდა, დღეს უკეთესად ვითამაშეთ. იმედია, შოტლანდიამდე კიდევ უფრო გავძლიერდებით.

**- ფარერებზე პროგრესია, მაგრამ წინა მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრებში რა ცვლილება შენიშნეთ?**

- კუნძულზე თქვენებმა უკეთესად ითამაშეს. დღეს დაცვა ცუდად გამოიყურებოდა. პირველ შეხვედრაში ქართველებს კუთხურები თითქმის არ ჩამოუწოდებიათ და თითქმის ყველა ბურთი თამაშიდან გაიტანეს. ხშირად რჩებოდა თქვენი ხუთი მოთამაშე ჩვენი სამი მცველის წინააღმდეგ.

დღეს კი გაცილებით მეტი სტანდარტული შეასრულეს და გაცილებით ნაკლები გაიტანეს. სტანდარტულების შესრულება იყო უმთავრესი განსხვავება.

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **კლაუს ტოპმიოლერი**:

- საკმაოდ მძიმე ბრძოლაში მოვიგეთ. მეორე ტაიმში მეტოქეს შანსი მივეცით და ორჯერ აშკარად გაგვიმართლა, გოლს რომ გადავურჩით. ფარერებმა კარგად გამოაჩინეს თავი. აშკარაა, რომ თამაში გააუმჯობესეს. მთავარი მაინც ისაა, რომ მოვიგეთ და ჯგუფში წინა საფეხურზე გადავინაცვლეთ.

**- ფეხბურთელები მეტოქეს ზერელედ ხომ არ მოეკიდნენ?**

- რატომღაც 2:1-ზე ფეხბურთელებმა სიმშვიდე დაკარგეს და ანერვიულდნენ. წინა ამხანაგური და ოფიციალური შეხვედრები ძლიერ მეტოქეებთან ჩავატარეთ და ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სუსტ გუნდს შევხვდით და თამაში ჩვენ უნდა წარგვემართა, მეორე ტაიმში კი ეს გაგვიჭირდა. სტუმრები კომპაქტურად იცავდნენ თავს და თავისუფალ ზონებს თითქმის არ ტოვებდნენ. ამასთანავე, საკმაოდ სახიფათო კონტრშეტევებს ახორციელებდნენ. მეორე ნაევარში უკან დახევაც მოგვიხდა.

**- კობიაშვილის მენთეშაშვილით შეცვლა მოულოდნელი აღმოჩნდა. ეს რამ განაპირობა?**

- შესვენებაზე კობიაშვილმა შეცვლა მთხოვა, რადგან ფეხი ასტკივდა. ვთხოვე, რომ კიდევ 15 წუთი კიდევ ეთამაშა. მერე კი ტრავმის გართულებას მოვერიდეთ. უახლოეს ტურში "შალკე" გასვლაზე "ბაიერნთან" მნიშვნელოვან შეხვედრას ატარებს და ესეც გავითვალისწინეთ.

**- მოყვარულების ნაკრებთან დაცვაში ამდენ შეცდომას როგორ ხსნით და რაიმე ზომების გატარებას ხომ არ აპირებთ?**

- პრობლემა დაცვაში შემადგენლობის ხშირი ცვლაა, რაც იძულებითია. პირველად გამოვცადეთ ცქიტიშვილი დაცვაში. ფეხბურთელები შეუთამაშებლები არიან და ესაა მთავარი მიზეზი. მალე ტრავმირებულები შემოგვიერთდებიან და უკეთესად ვითამაშებთ.

**- მოლდოველებსა და ყაზახებს ისტორია დავუწერეთ, ფარერებთანაც კინაღამ იგივე განმეორდა. თქვენ კიდევ ფიქრობთ, რომ სწორი გზით მივდივართ?**

- აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული, რომ სწორი გზით მივდივართ. თქვენ ნახავთ, რომ შემდეგ მატჩს ლიტვასთან გაცილებით უკეთ ჩავატარებთ. ნუ გაგიკვირდებათ, მშენებლობის გზაზე დამდგარა გუნდს ზოგჯერ ჩავარდნები თუ ექნება. ასე იყო მსოფლიო ჩემპიონატამდე გერმანიის ნაკრები, რომელმაც ამხანაგურ შეხვედრაში იტალიასთან 1:4 წააგო, მაგრამ მუნდიალზე მესამე ადგილი დაიკავა. ასე რომ, ჩავარდნები ბუნებრივია.



კლაუს ტოპმიოლერი

საერთოდ, რა თქმა უნდა, დღეს ძალიან ცუდად ვითამაშეთ და კრიტიკასაც ვიმსახურებთ, მაგრამ მოვიგეთ.

**- ცქიტიშვილის დაცვაში დახევა მხოლოდ საკადრო პრობლემებით გამოწვეული ცვლილება იყო თუ გაინტერესებდათ, ამ პოზიციაზე როგორ გამოადგებოდა გუნდს?**

- მხოლოდ იძულებითი ნაბიჯი იყო. იმედია, მალე ყველა ტრავმირებული დაგვიბრუნდება და დაცვაში აღარ ვათამაშებთ. ის დაცვაშიც მშვიდი იყო და შეტევების წამოწყებასაც ახერხებდა.

**- ნაკრების შემდეგ შეკრებამდე სად იქნებით?**

- ძირითადად, ლეგიონერებს დავაკვირდები. 17-წლამდელები აპრილში პორტუგალიაში საერთაშორისო ტურნირზე მიემგზავრებიან და გავყვები. მაისში შოტლანდია 19-წლამდელთა ელიტრაუნდს მასპინძლობს, საქართველო ითამაშებს და ტურნირს იქაც უნდა დავესწრო. ამასთანავე, ლიტვას არ ვიცნობ და ის კარგად უნდა შევისწავლო. სხვათაშორის, არ მეგულება მსოფლიოში მწვრთნელი, რომელიც ფარერებს ჩემსავით იცნობს. ასევე ვაპირებ ლიტვის ნაკრების შესწავლას, რადგან მას ისე არ ვიცნობ, როგორც ეს საჭიროა.

**მერაბ მამულაშვილი**

## კომენტარები

**დავით სირაძე:** წყვილში ფავორიტები კი ვიყავით, მაგრამ მოგებისთვის მაინც დიდი ბრძოლა დაგვჭირდა. მეტოქე მთელი გუნდით დაცვაში იყო გამაგრებული და ასეთ ვითარებაში ყოველთვის ძნელია ბურთის გატანა... ბუნებრივია, უფრო უკეთაც შეგვეძლო თამაში, მაგრამ, შესაძლოა, გარკვეულწილად, გლაზგოურმა ნაგებამაც იმოქმედა უარყოფითად. მთავარია, მოვიგეთ და 3 ქულა ავიღეთ.

**ჯაბა კანკავა:** მოგება გაგვიჭირდა. ამას მატჩამდე ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით. ბევრად უკეთ შეგვეძლო თამაში და ალბათ ფსიქოლოგიურად ვერ შევძელით მობილიზება. მატჩის შემდეგ მწვრთნელმა გვითხრა, მთავარია მოვიგეთ, 3 ქულა ავიღეთო. თამაშის ხარისხით კი კლაუს ტოპმიოლერი, ბუნებრივია, არ იყო კმაყოფილი. მომდევნო მატჩებში უკეთ ვიასპარეზებთ.

**ლაშა სალუქვაძე:** შედეგი დადებითია, მოვიგეთ და ქულათა მარაგი გავზარდეთ. თუმცა თამაშის ხარისხი ნამდვილად არ ყოფილა კარგი. პირველ ტაიმში ყველაფერი კარგად მიდიოდა. ორი ბურთით ვიგებდით. მეორე ტაიმში კიდევ გვინდოდა გოლის გატანა, შეტევაზე გავაკეთეთ აქცენტი და კონტრშეტევები გაგვეპარა. ლომაიამ კარგად ითამაშა და არაერთხელ გადაგვარჩინა. ეს 3 ქულა მისი დიდი დამსახურებაა.

**ლევან კობიაშვილი:** ორი აზრი არ არსებობს, თამაში სანახაობრივად კარგი ნამდვილად არ ყოფილა. ჩვენი მიზანი 3 ქულის აღება იყო და ჩანაფიქრი განვახორციელეთ კიდეც. ერთი სიტყვით, შედეგი კარგია, მაგრამ თამაშის ხარისხი ნამდვილად არავის მოეწონებოდა. გაფრთხილება კი მივიღე, მაგრამ მომდევნო თამაშის გამოტოვება არ მომიწევს.

**გიორგი შაშიაშვილი:** პირველი ტაიმი 2:0 მოვიგეთ და, შეიძლება ითქვას, რომ მეორე ნახევარში მეტოქე სათანადოდ არ დავაფასეთ. გულშემატკივარი გოლებს ითხოვდა და სწორედ ანგარიშის გაზრდაზე გავაკეთეთ აქცენტი. ამ ვითარებაში კი მეტოქის კონტრშეტევები გაგვეპარა. ეს ჩვენი დაუდევრობა იყო, რის გამოც კინაღამ დავისაჯეთ და ფრე ვითამაშეთ. არადა, უკეთესი იქნებოდა, ბურთი დაგვეჭირა, გუნდი ამოგვეწია და საგოლე მომენტები შეგვექმნა. ეს ჩვენი ბრალია, ფეხბურთელების. ვთვლი, რომ მეორე ტაიმში მოწინააღმდეგე არ დავაფასეთ და მობილიზების გარეშე გავედით მოედანზე. ფეხბურთი ყველამ ისწავლა და დღეს აუტსაიდერი აღარ არსებობს. როცა მთელი გუნდი უკან დგას და მხოლოდ კონტრშეტევაზე თამაშობს, მეტი სიფრთხილე და ყურადღება გმართებს. ეს ყველამ კარგად უნდა გავაანალიზოთ და მსგავსი აღარ უნდა განმეორდეს.

**გიორგი დემეტრაძე:** ყველა იოლ გამარჯვებას ელოდა, მაგრამ 3 ქულის მოპოვება, როგორც ნახეთ, ძალიან გაგვიჭირდა. შეიძლება ითქვას, რომ ბედმა გაგვიღიმა, თორემ შეიძლებოდა ვერც კი მოგვეგო. ამისი მიზეზი კონცენტრაციის დაკარგვა იყო. ის, რაც გლაზგოში დაგვემართა, იგივე განმეორდა დღესაც.

**დავით ცაბაძე**





როგვი იაკობსენი (6) და იოგვან მარტინ ოლსენი

ინტერვიუ როგვი იაკობსენთან

# საქართველო მარტო ფარერებზე ძლიერია

ფარერების ნაკრებმა შესარჩევ ციკლში პირველი ბურთი გაიტანა. სტუმართა მეექვსე ნომერმა **როგვი იაკობსენმა** ჩინებული კომბინაცია შესანიშნავი დარტყმით დაასრულა.

იაკობსენი უზომოდ ბედნიერი ჩანდა. ანდა როგორ არ იქნებოდა, როდესაც 47 ათასიანი კუნძულის ნაკრების მთავარი მიზანი ისაა, რომ დიდი ანგარიშით არ დამარცხდა და გუნდმა ამ მიზანს მიაღწია. მეტიც, ბურთიც კი გაიტანა და, მინიმუმ, ერთი წელიწადი როგვი იაკობსენი სამშობლოში შეიძლება ითქვას გმირის სტატუსითაც ისარგებლებს. სხვათა შორის მატჩის რეპორტაჟი ფარერების რადიოს მიჰყავდა და ჩვენს გვერდით მჯდომმა კომენტატორმა მეორე ტაიმში რამდენჯერმე გაიმეორა, იოგვან მარტინ ოლსენის ბიჭები ფანტასტიკურად თამაშობენო.

თამაშის შემდეგ როგვი იაკობსენს მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.

**- გეტყობათ, შედეგით კმაყოფილი დარჩით...**

- რა თქმა უნდა, შედეგიც მისაღებია და რაც მთავარია, გოლი გავიტანე. ეს ჩემთვის დიდი ბედნიერებაა.

**- ეს პირველი გოლი იყო ნაკრებში?**

- არა, უკვე მეშვიდე გავიტანე.

**- საქართველოს ნაკრები კუნძულზე მატჩის შემდეგ როგორ შეიცვალა?**

- ფარერებზე გაცილებით უკეთესი გუნდი იყო. დღეს კი თქვენები არ მომეწონენ. მაშინდელივით კარგი შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ.

**- მაინც რა არ მოგეწონა?**

- ბევრი რამ, მაგალითად დაცვა . ფარერებზე მობილიზებულები იყვნენ და შეტევების მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდნენ.

**- ჯგუფში საქართველო რომელ გუნდს ჯობია?**

- მარტო ჩვენ.

**- ლიტვის ნაკრები საქართველოზე ძლიერია?**

- ლიტვა? შეიძლება. თუმცა, არა, დაახლოებით თანაბარი გუნდები არიან. შოტლანდიაზე, საფრანგეთსა და იტალიაზე აღარაფერს ვიტყვი.

**მერაბ მამულაშვილი**

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



ზაურ სვანაძე (მარჯვნივ) საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბში პირველად შოტლანდიაში გამოჩნდა

ეროვნული ნაკრები. ინტერვიუ ზაურ სვანაძესთან

# მჯერა, მალე უკეთესი შედეგები გვექნება

**ზაურ სვანაძე ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბში შოტლანდიასთან მატჩის წინ გამოჩნდა. შვედეთში მომუშავე მწვრთნელის მოწვევის სურვილი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ჯერ კიდევ სამი თვის წინათ გამოთქვა, თუმცა იყო ერთი პატარა პრობლემა. ზაურ სვანაძე შვედეთის რიგით მესამე ლიგაში მოთამაშე GMFF-ის წვრთნის და კლუბის ხელმძღვანელობის თანხმობის გარეშე ნაკრებში მუშაობა არ შეეძლო.**

**ნაკრების სამწვრთნელო შტაბის ახალი წევრი ამჟამად თბილისშია და ფარერებთან მატჩამდე ჩვენც დრო ვიხელთეთ მასთან სასაუბროდ.**

- კლუბის ხელმძღვანელებს ძალიან გაუხარდათ, როცა გაიგეს, რომ პარალელურად საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბში მუშაობას მთავაზობდნენ. ეს მათთვის პრესტიჟულია და შეთავსებით მუშაობაზე დამთანხმდნენ.

**- ნაკრებში როგორ მიგიღეს?**

- ჩინებულად. გერმანელი მწვრთნელების გარდა, ფეხბურთელებსა და ტექნიკურ პერსონალს, ყველას კარგად ვიცნობდი. კლაუს ტოპმიოლერი, მისი ძმა და რალფ მინგე კი ახლა გავიცანი. საქმეც ჩინებულად ესმით და ძალიან კარგი ადამიანები არიან.

**- კლაუს ტოპმიოლერი როგორ მოგმართავთ?**

- თავდაპირველად ზაურს მეძახდა. მერე მამუკა აბუსერიძემ და ბიჭებმა უთხრეს, ზაურს ახლო მეგობრები "კიჭის" ვეძახითო და მას მერე ხუმრობით მეტსახელით მომმართავს ხოლმე.

**- გლაზგოურ მატჩზე რას იტყოდით?**

- ჩვენმა გუნდმა კარგად ითამაშა. განსაკუთრებით პირველ ტაიმში. მეორე ნახევარშიც არაერთი ხიფათი შევქმენით მეტოქის კართან, მაგრამ ბოლოს რამდენიმე დასანანი შეცდომა დავუშვით. ამით კი კარგად ისარგებლეს შოტლანდიელებმა. წავაგეთ, მაგრამ აშკარად გამოჩნდა, რომ ნაკრები პროგრესირებს. მჯერა, ეს მომავალ მატჩებში კიდევ არაერთხელ გამოჩნდება და უკეთესი შედეგები გვექნება.

**- ნაკრებში მუშაობა ორმხრივად სასარგებლოა. ალბათ თავადაც გაიმდიდრებთ ცოდნას...**

- დიახ, სწორედაც რომ ეგრეა. მადლიერი ვარ ფედერაციისა და პირადად ნოდარ ახალკაცის. ბედნიერი ვარ, რომ ისეთი დიდი მწვრთნელის გვერდით მიწევს მუშაობა, როგორიც კლაუს ტოპმიოლერია. ბევრს ვისწავლი, რაც სამომავლოდ წამადგება.

**- შვედეთში ახალი სეზონი ჯერ არ დაგიწყიათ?**

- არა, ჯერ არა, აპრილის ბოლოს იწყება. მანამდე კი მოსამზადებელი პერიოდი გვაქვს.

**- გუნდი რა მიზნისთვის იბრძოლებს?**

- მესამედან მეორე ლიგაში გვინდა გადასვლა. თუკი საამისო ფინანსები იქნება, რომ გუნდი რამდენიმე ფეხბურთელით გავაძლიეროთ, მაშინ ზედა ლიგაში გადასასვლელად მეტი შანსი გვექნება.

**- რა ამპლუის ფეხბურთელებს საჭიროებთ?**

- სამივე პოზიციაზე - დაცვაში, ნახევარდაცვასა და თავდასხმაში გვინდა გაძლიერება.

**- ქართველი ფეხბურთელები ხომ არ გყავთ შეგულებული?**

- ამაზე ჯერჯერობით გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ვნახოთ, შესაძლოა, ქართველი ფეხბურთელებიც კი წავიყვანო. გააჩნია რა თანხები გამოჩნდება. ყველაფერს ამის მიხედვით გადავწყვეტთ.

**- ახალგაზრდა ფეხბურთელები გინდათ თუ შედარებით ასაკოვნები?**

- უფრო ახალგაზრდები ან საშუალო ხნის მოთამაშეები, ასე 25-26 წლის ფეხბურთელები.

**- გუნდში რომელიმე ქართველი მწვრთნელი ხომ არ მოგეხმარებათ?**

- არა, უკვე მყავს თანაშემწე. ადგილობრივი მწვრთნელი პეტერ ასკებრანდეა ჩემი თანაშემწე. საქმეც იცის და ბუნებითაც კარგი ადამიანია.

**- მესამედან მეორე ლიგაში რამდენი გუნდი გადადის?**

- მხოლოდ პირველადგილოსანი. მეორე ადგილზე გასული კი გადათამაშებაში უწევს ბრძოლა საგზურისთვის.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ გიორგი ლომაიასთან

# რუსეთს მაინც ევროპა ჯობია

**გიორგი ლომაია თავიდანვე ნაკრების იმედად მოინათლა. თბილისის "ლოკომოტივში" თამაშობდა, როდესაც ეროვნულში მიიწვიეს და რამდენიმე მატჩი მაღალ დონეზე ჩაატა, მათ შორის, რუსეთის ნაკრებთან.**

**თუმცა, მერე და მერე, არასტაბილურობა დასჩემდა. ერთი შეხედვით პარადოქსული ფაქტია - რუსეთში კარიერის ასაწყობად წასულ მეკარეს ის კინაღამ დაენგრია. მოსკოვის "სპარტაკი" "ადამიანი-პანტერად" მონათლულ ქართველს სინანულის გარეშე შეელია. არც "ხიმკისა" და "ლუჩ-ენერგიაში" აეწყო კარგად საქმეები. ფაქტობრივად სამი სეზონი არ უთამაშია და, რა თქმა უნდა, ამან ლომაიას თამაშს კვალი დაატყო.**

**სწორედ ამიტომ აღმოჩნდა რუსეთის პრემიერლიგაში თამაშზე მომხიბვლელი მეორე ბუნდესლიგის აუტსაიდერ "კარლ ცაისში" გამოსვლა. კარგა ხნის მერე ძლივს ვიხილეთ ნაკრების კარში წელგამართული და თავდაჯერებული მეკარე.**

**თბილისში სანაკრებო მატჩზე ჩამოსულ ლომაიას ძირითადად გერმანულ ფეხბურთში გადასვლაზე ვესაუბრეთ.**

**- ნაკრების ბოლო შეხვედრებიდან აშკარად გამოჩნდა, რომ "კარლ ცაისში" თავდაჯერებული გახდი. საკამათოც არაა, რომ გადასვლამ შენზე ძალიან კარგად იმოქმედა.**

- რა თქმა უნდა, ასეა და მარტივია ამის მიზეზი - მეკარისთვის მთავარია თამაში. სხვაგვარად ვერც თავდაჯერებული იქნები და მწვრთნელი ნაკრებშიც არ გენდობა. ახლა მათამაშებენ და მართლა ვიგრძენი ძალა. საერთოდ, მიხარია, გუნდი რომ შევიცვალე.

**- ეს კარგია, მაგრამ ცოტა უცნაური ის იყო, რომ შოტლანდიაში გამოსვლებზე ურიგოდ არ გამოიყურებოდი. გერმანელებმა ეს ნაკლი ორ თვეში როგორ მოგიგვარეს?!**

- ეს მარტო გერმანელების დამსახურება არაა. რუსეთში კი მაწვალეს, მაგრამ ბევრიც მასწავლეს. დრო უქმად არ გამიცდენია. იქ მეკარეების გამოსვლაზე თამაშს დიდ ყურადღებას აქცევენ, თუმცა ხშირად არ მათამაშებდნენ და ესეც დამეტყო. მხოლოდ მაშინ იზრდები, როდესაც ვარჯიშზე ნასწავლს თამაშებში იმეორებ. გერმანიაში გადასვლა ამითაა გამართლებული.

**- უკრაინასა და შოტლანდიაში ნაკრებმა ერთმანეთის მიყოლებით დასანანი ქულები დაკარგა. არსებობს გუნდური ხასიათი და ეტყობა, ჩვენსას ეს ნაკლი გააჩნია.**

- შოტლანდიაში არ უნდა წაგვეგო. ეს გუნდი ჯგუფის ლიდერობას არ იმსახურებს. ძლიერი ნაკრები ნამდვილად არაა. საწყენია, რომ ყველაფერი ქარს გავატანეთ.

**- დღეს უკვე კარგად გაერკვეოდი არა მარტო რუსული ფეხბურთის პლუს-მინუსებში, არამედ გერმანულისაც. თავიდანვე რომ გქონოდა არჩევანის საშუალება, შენ, ქართველი მეკარე რომელს ამჯობინებდი?**

- გუნდსაც გააჩნია. ასე ცალსახა პასუხს ვერ გაგცემ. ერთი შეხედვით მაინც დონეა განმსაზღვრელი, მაგრამ სხვა ფაქტორებიც არის გასათვალისწინებელი. მარტო მატერიალურს არ ვგულისხმობ. ორივე ქვეყანა უძლიერესი მეკარეების სკოლითაა ცნობილი.

**- თუმცა, გერმანული სკოლა რომ მაინც უმაღლესი კლასია, სადავო არ უნდა იყოს. ამ კუთხით "კარლ ცაისში" რაიმე განსაკუთრებული ვარჯიშებია?**

- ასეც ვერ ვიტყვი. სხვათა შორის, რუსეთში გაცილებით მეტად ვიტვირთებოდი. ეგაა, რომ გერმანიაში რუსეთის მსგავსი მომაბეზრებელი, ხანგრძლივი შეკრებები არ იციან და ეს მართლა კარგია.

სიმართლე გითხრათ რუსეთშიც არ ვიყავი ცუდად, ყოველ შემთხვევაში, ვლადივოსტოკში ქართველებისადმი ისეთი ცუდი დამოკიდებულება არ იყო, როგორც რუსეთის ცენტრალურ ქალაქებში. რუსები ყოველდღიურ ცხოვრებაში უფრო მიგებენ, ვიდრე გერმანელები. თუმცა ევროპაში ცხოვრება და თამაში მაინც მირჩევნია. იქ მშვიდი, სტაბილური ცხოვრებაა, ადამიანიც გაცილებით დაწყნარებული ხარ და ფეხბურთზე მეტს ფიქრობ. აი, ესაა მეორე ბუნდესლიგის უპირატესობა.

**- ალბათ, ენის პრობლემა არ შეგექმნებოდა - როგორც მახსოვს, რამდენიმე ენა იცი.**

- ვიცოდი, მაგრამ თავს ვერ დავდებ, რომ „ვაბულბულებდი". ახლა მე და აშვეთია ერთად ვსწავლობთ გერმანულს, გუნდმა საგანგებოდ მასწავლებელი დაგვინიშნა.

**- "შატალოზე" ხშირად დადიხართ?**

- არა, უცხო ქვეყანაში ენის ათვისება აუცილებელია. უხერხულიცაა გუნდის დაფინანსებული გაკვეთილების გაცდენა. სხვათა შორის, ქართველი მასწავლებელი დაგვინიშნეს, რომელიც 1975 წლიდან გერმანიაში ცხოვრობს.

**- ახალი გუნდით კმაყოფილი ხარ?**

- საქმე ასარჩევად არც მქონდა. მგონია, რომ კარგი ფიზიკური მონაცემების შემთხვევაში, მეორე ბუნდესლიგაში ბევრი ქართველი ითამაშებდა. სტანდარტულ ფეხბურთს თამაშობენ და ტექნიკურ ფეხბურთელებზე მოთხოვნაა.

**- "კარლ ცაისში" ვინმემ ქართველების ძველი წყენა ხომ არ გაიხსენა?**

- 1981 წლის ფინალის მონაწილე, მერვე ნომერი ლინდემანი გუნდის მენეჯერია. ოფისში იმ თამაშისა და "კარლ ცაისის" თბილისში სტუმრობის ამსახველი ფოტოებია გამოფენილი, ქართული სუვენირებიც, ხანჯლები, ყანწები. ზოგჯერ ვახსენებთ ხოლმე, იმ ქვეყნიდან ვართ, თქვენ რომ მოგიგეს-თქო.

**- ეტყობა, გუნდს მიხეილ აშვეთიაც მოერგო.**

- მოერგო რომელია? ძალიან კარგად ათამაშდა, მგონი, მეორე სუნთქვა გაეხსნა. "კარლ ცაისი" გადარჩენისთვის იბრძვის და ყველა ძალიან მონდომებული ვართ, რომ ლიგიდან გავარდნის საფრთხე თავიდან ავიცილოთ.

**მერაბ მამულაშვილი**




გიორგი ლომაია

იკითხეთ "ტონუსი", იყავით ტონუსში...



გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge


ევრო 2008. B ჯგუფი. მეტოქეები

# უკრაინა უკვე პირველია

## სამი თავი, სამი გოლი...



ლუკა ტონი დუბლს ზეიმობს

**უკრაინა-ლიტვა 1:0**

**უკრაინა:** შოვკოვსკი, ნესმაჩნი, კუჩერი, ტიმოშჩუკი, იეზერსკი, რუსოლი, გუსევი (79. ვოროზეი), მიხალიკი (70. შელაევი), კალინიჩენკო (82. ჩიგრინსკი), ვორონინი, შევჩენკო.

**ლიტვა:** გრიბაუსკასი, შემბერასი, ჟვირგჟდაუსკასი, კლიმავიჩუსი, პაულაუსკასი, სკერლა, სტანკევიჩუსი, მორინასი (56. გედგაუდასი), სავენასი (51. კალონასი), დანილევიჩუსი, პოშკუსი (65. რაძინევიჩუსი).

**გოლი:** 1:0 გუსევი (48)

**მაყურებელი:** 28 000

უკრაინის ნაკრებმა ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრისთვის ბრძოლაში მშვენიერი შანსი შეინარჩუნა. ბევრს კი მიაჩნია, რომ ამ ჯგუფში საფრანგეთი და იტალია უპირობო ფავორიტები არიან, მაგრამ მთლად ასეც არაა. ალბათ, უკრაინის ნაკრები იქნება ის გუნდი, ვინც ამ ორი გრანდის საქმეში ჩაერევა. თუმც რა მოხდება შემოდგომაზე, ჯერჯერობით ამაზე საუბარი ნაადრევია. ამ სიტუაციიდან გამომდინარე, ბევრ კითხვას გასცემს პასუხს 2 ივნისის მატჩი საფრანგეთსა და უკრაინას შორის. და სწორედ ეს შეხვედრა იქნება ის ლაკმუსის ქაღალდი, რომელიც **ოლეგ ბლოხინის** გუნდის რეალურ ძალას დაგვანახვებს.

ლიტვა რომ სერიოზული გუნდია, ეს საფრანგეთთან თამაშმაც გვიჩვენა, მანამდე კი იტალიურმა ფრემ (შესარჩევის სტარტზე). შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, შეძლებდა თუ ვერა ბლოხინი ოდესაში საბრძოლო შემადგენლობის დაყენებას. ეს პირველ რიგში **შევჩენკოს** ეხებოდა. მცირე ტრავმის გამო შევას ფარერებთან არ უთამაშია. გუშინ კი სრულ მზადყოფნაში შეხვდა ლიტვასთან თამაშს და მოედანზეც ბევრი გააკეთა გამარჯვებისთვის. მას დასაწყისშივე შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ უაღრესად ხელსაყრელ სიტუაციაში, როცა წინ მხოლოდ მეკარე იყო, ბურთი მიზანს მიღმა გაგზავნა. შემდგომშიც, სტუმართა კართან საფრთხე ძირითადად შევჩენკოსგან იქმნებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ კაპიტანს კარგად უბამდა მხარს მასზე ოდნავ უკან მოქმედი **ვორონინი**. თუმცა ეგ იყო, რომ უკრაინელთა უპირატესობა გოლებში ვერ ისახებოდა. ეს კი არა, პირველ ტაიმში **კუჩერმა** თავურით საკუთარი კარისკენ გაგზავნა ბურთი და რომ არა ძელი, ლიტვა დაწინაურდებოდა.

მასპინძლებმა მეორე ნახევარი უფრო მაღალ ტემპში დაიწყეს და აკი მალევე დაუფასდათ კიდეც. სულ რაღაც ორი წუთის განახლებული იყო თამაში, როცა **კალინიჩენკოს** ჩაწოდებულს **გუსევმა** თავი დაჰკრა და, როგორც მოგვიანებით ალმოჩნდა, გამარჯვებისა გაიტანა. მატჩის მიწურულს ლიტველები შტურმზე გადავიდნენ და ბლოხინის შეგირდებს ცოტა ნერვიულობაც მოუწიათ, მაგრამ ისეთი არაფერი, მათთვის ბოლო მაინც კეთილი იყო.

ამრიგად, უკრაინის ნაკრები B ჯგუფის ლიდერად იქცა. საფრანგეთთან მას ჯერ არ უთამაშია, თუმცა მოგებული აქვს შოტლანდიასთან, ამ უკანასკნელს კი, თავის მხრივ, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ჰყავს დამარცხებული. ამიტომაც გადაინაცვლეს ფრანგებმა მესამე ადგილზე.

**იტალია-შოტლანდია 2:0**

**იტალია:** ბუფონი, ოდო, მატერაცი, კანავარო, ძამბროტა, დე როსი, გატუზო, კამორანეზი, პეროტა (77. პირლო), დი ნატალე (66. დელ პიერო), ტონი (87. კვალიარელა).

**შოტლანდია:** გორდონი, ალექსანდერი, უეირი, მაკმანუსი, ნეისმიტი, ტილი (66. მელოუნი), ფერგიუსონი, ბრაუნი (86. ბიტი), ჰარტლი, მაკკალოხი (81. ბოიდი), მილერი.

**გოლები:** 1:0 ტონი (12), 2:0 ტონი (70)

**მაყურებელი:** 37 500

"სკუადრა აძურამ" მშვიდად, ყოველგვარი ზედმეტი დაძაბვის გარეშე დაგეგმილი სამი ქულა აილო შოტლანდიასთან (ასპროცენტიანი რეკორდი იტალიის ნაკრებისთვის, რომელმაც 1931 წლის შემდეგ სკოტები ექვსივე საშინაო შეხვედრაში დაამარცხა) მატჩში, რომელიც **რობერტო დონადონისთვის**, შეიძლება ითქვას, ერთგვარად გადამწყვეტიც იყო. კარგა ხანია, ის პრესის კრიტიკის ობიექტია. იტალიურ ფეხბურთზე მასმედიას რომ სერიოზული გავლენა აქვს, ვგონებთ ამის შეხსენება საჭირო აღარ არის. ამიტომაც იყო, რომ დონადონის აშკარად პანიკა ეტყობოდა მატჩისწინა პრესკონფერენციებისას, ის გაღიზიანებული პასუხობდა ჟურნალისტთა კითხვებს, ხოლო **ბუფონის** ავადმყოფობამ ლამის წყობიდანაც გამოიყვანა. კიდევ კარგი, ჯიჯიმ თამაში შეძლო... ვერ ვიტყვით, რომ მის გარეშე იტალია ვერ მოიგებდა, მაგრამ ბუფონის ფაქტორი თანაგუნდელებზე პოზიტიურად მოქმედებს - როცა ის თავის ადგილასაა, შეტევაში წასვლაც უფრო თამამად შეიძლება...

შოტლანდიას რაც შეეხება, **ალექს მაკლიშმა** საქართველოსთან წარმატებული დებიუტის შემდეგ ძირითადში ერთადერთი კორექტივი შეიტანა და ისიც გასვლითი მოდელით იყო ნაკარნახევი: სასტარტოდან **ბოიდი** ამოაგდო, ფლანგი **ბრაუნით** გააძლიერა და **მილერის** სახით ერთადერთი ფორვარდი დააყენა, ჰოდა, რა შედეგიც მოიმკო, ანგარიშიდანაც ჩანს. თუმცა, ბევრწილად, გადამწყვეტი იყო ადრეული გოლიც. **ოდოს** ჩაწოდებას **ტონი** გამოეხმაურა და მე-12 წუთზე წინ იტალია გაიჭრა.

ეს იყო მთავარი, შემდგომში თამაში მასპინძელთა კარნახით მიდიოდა. საბოლოო წერტილი 70-ე წუთზე დაისვა, როცა იგივე ტონიმ ამჯერად **კამორანეზის** უზუსტესი პასი აქცია გოლად და დუბლიც გაიფორმა. "ფიორენტინის" ფორვარდი ბრწყინვალე ფორმაშია და გუშინ ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა. საერთოდაც, "სკუადრა აძურამ" ბარის "სან ნიკოლაზე" შთამბეჭდავად ითამაშა. ვნახოთ, მოიგებს დონადონი მასმედიის გულს...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უკრაინა | 5 | 4 | 0 | 1 | 8-4 | 12 |
| 2. შოტლანდია | 6 | 4 | 0 | 2 | 11-6 | 12 |
| 3. საფრანგეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 12-2 | 12 |
| 4. იტალია | 5 | 3 | 1 | 1 | 9-5 | 10 |
| 5. საქართველო | 6 | 2 | 0 | 4 | 13-12 | 6 |
| 6. ლიტვა | 5 | 1 | 1 | 3 | 3-5 | 4 |
| 7. ფარერები | 6 | 0 | 0 | 6 | 1-23 | 0 |

**მომდევნო მატჩები**

**2 ივნისი, შაბათი**

ლიტვა-საქართველო

ფარერები-იტალია

საფრანგეთი-უკრაინა

**6 ივნისი, ოთხშაბათი**

საფრანგეთი-საქართველო

ლიტვა-იტალია

შოტლანდია-ფარერები

**ამხანაგური მატჩი**

**საფრანგეთი-ავსტრია 1:0**

**საფრანგეთი:** კუპე, ტურამი (46. გალასი), მექსე (46. აბიდალი), კლერი, ესკუდე, დიარა, მავუბა, ჯ. სისე (52. ბენზემა), ნასრი (70. მალუდა), დიაბი (77. პიკიონი), ანელკა.

**ავსტრია:** მახო, იბერსტბერგერი (59. შტანდფესტი), კულიჩი (68. გერკალიუ), პრეგერი (90. სარიარი), ფუხსი, ჰიდენი, შტრანცლი, ლაიტგები (80. ატანი), აუფჰაუზერი, ივანშიტცი, ლინცი (80. ჰაასი).

**გოლი:** 1:0 ბენზემა (54)

**მაყურებელი:** 75 000

19-წლამდელთა ნაკრები

# ლუქსემბურგს მოვუგეთ

**ლუქსემბურგი-საქართველო 1:2**

**საქართველო:** მაკარიძე, სანაია, თომაშვილი, გვაძაბია, მჭედლიშვილი, ბჟალავა, თარგამაძე, ბენაშვილი, ყენია, ფანცხავა, წინამძღვრიშვილი.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: გოცირიძე, ნიკოლაიშვილი, ხიდაშელი, ნ. კვასხვაძე, ბლაგიძე, თოთაძე

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა გუშინ დაასრულა უცხოური შეკრება. **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდმა შეკრების ბოლო დღეს, რიგით მესამე ამხანაგური მატჩი გამართა. გერმანელ თანატოლებთან 2:0 წაგებისა და ლუქსემბურგის "ვიქტორიასთან" 2:1 მოგების შემდეგ ჩვენი 19-წლამდელები ლუქსემბურგის 19 და 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელებისგან შემდგარ გუნდს დაუპირისპირდნენ.

ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებისას ნაკრების შემადგენლობის გარდა მატჩის პერიპეტიებიც შევიტყვეთ. როგორც გავიგეთ, ანგარიში მატჩის მე-6 წუთზე მასპინძლებმა გახსნეს. თუმცა ჰაინც ტოპმიოლერის ბიჭები გონს მალევე მოეგნენ და თამაშის სადავეებიც ხელში ჩაიგდეს. 30-ე წუთზე მასპინძელთა საჯარიმოში **სანაია** წააქციეს და ლუქსემბურგელთა კარში პენალტი დაინიშნა. თერთმეტმეტრიანი **რატი წინამძღვრიშვილმა** გოლად აქცია და წონასწორობა აღადგინა. ათიოდე წუთში იმავე წინამძღვრიშვილმა დუბლი მიითვალა და გუნდი დააწინაურა. მეორე ტაიმში მწვრთნელებმა ცვლილებებს მიმართეს. თამაში კვლავაც ჩვენი გუნდის კარნახით გაგრძელდა მატჩის ბოლომდე, თუმცა ანგარიშის შეცვლის შესაძლებლობა მეტოქესაც მიეცა.

**დავით ცაბაძე**



ჰაინც ტოპმიოლერი


მწვანე სამყარო
GREEN WORLD

გამწვანება
ფილების დაგება
სარწყავი სისტემა
რკინის კონსტრუქციები
ქვის სამუშაოები
განათება
შადრევნები

ახალი ეპოქა
ჩვენთან ერთად

მისამართი: ალ. ყაზბეგის ქ. 10ა
ტელეფონები: 21-87-97; მობ. 8 (77) 71-87-97; 8 (77) 44-87-97



CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



დარეკეთ, შეუკვეთეთ, ჩაერთეთ!
ი. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მილანი: ერთი ნაბიჯით წინ რონალდინიოსკენ

## გაუჩოს აგენტი ძმა უკვე ხმამაღლა ამბობს, რომ მილანი ფავორიტია. რონალდინიოს რონალდოც ეპატიჟება



რონალდინიო

"მომავალ კვირაში მილანში ვიქნები და "მილანის" ხელმძღვანელობასთან ერთად ჩემი კლიენტის, ოლივეირას სიტუაციას შევაფასებთ. აი, ნახავთ, რომ რიკარდო მალე ძირითადის მოთამაშე გახდება". ამ სიტყვების ავტორი, **რონალდინიოს** მენეჯერი ძმა **რობერტო ასისი** მხოლოდ ოლივეირაზე არ ილაპარაკებს. ცხადია, რომ **ბერლუსკონი** და **გალიანი** შემთხვევის გამოყენებას ეცდებიან, სიტყვას რონალდინიოზეც ჩამოაგდებენ და ტემპების დაჩქარებას მოითხოვენ. "გაძეტა დელო სპორტი" წერს, ყველაფერი მზად არის "ბარსელონაზე" დიდი იერიშის მისატანადო. "რონალდინიო ბარსელონაში თავს კარგად გრძნობს – ამბობს რობერტო ასისი – თუმცა, ვნახოთ. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. რასაც ბერლუსკონი და გალიანი ამბობენ, სრული სიმართლეა: თუ ჩემი ძმა გუნდის შეცვლას გადაწყვეტს, მაშინ "მილანი" საუკეთესო ვარიანტი იქნება. ბრწყინვალე ურთიერთობა გვაქვს "როსონერისთან", ლეონარდოსთან. ნახეთ, რა სიამოვნებით თამაშობენ ერთმანეთის გვერდი-გვერდ კაკა და რონალდინიო?"

გასულ დღეებში საუბარი "ინტერში" შესაძლო გადასვლაზეც იყო. პრესა წერდა, დაუზუსტებელი ინფორმაციით, "ნერაძურის" სპორტულ დირექტორ **მარკო ბრანკას** რონალდინიოს აგენტ ძმასთან საუბარი ჰქონდაო. რობერტო ასისი ამას ღიმილით პასუხობს: "მე უამრავ ადამიანთან მაქვს საუბრები. ვსაუბრობ რონალდინიოზე და კიდევ სხვა ფეხბურთელებზე. არც იმას გამოვრიცხავ, რომ საუბარი ბრანკასთანაც მქონოდა. თუმცა, დავივიწყოთ "ინტერი". "მილანი" ყველა სხვა კლუბზე ბევრად წინ დგას. ამის მიზეზი წელან აგიხსენით: "როსონერისთან" განსაკუთრებული ურთიერთობა გვაქვს. რამდენ ხანში გადავწყვეტთ რონალდინიოს მომავალს? არ ვიცი. ერთ, ორ, ოთხ კვირაში. არ ვიცი, მიჭირს ზუსტი პასუხის გაცემა".

ამასობაში, "მილანს" თავისი სიტყვა **რონალდომაც** შეაშველა. აი, რა თქვა "კიჭამ" გაუჩოს ტრანსფერთან დაკავშირებით: "საოცარი იქნება, თუკი მე, კაკა და რონალდინიო ერთად საკლუბო დონეზეც ვითამაშებთ. თუმცა, რონალდინიოს არც ჩემი და არც კაკას დარწმუნება არ სჭირდება, რადგან თვითონაც მშვენივრად იცის, რომ "მილანი" უდიდესი კლუბია. ნებისმიერი ფეხბურთელი ოცნებობს, რომ ამ გუნდის მაისურით ითამაშოს. "როსონერი" მადრიდის "რეალთან" ერთად ყველაზე ტიტულოვანი კლუბია და ამით ყველაფერია ნათქვამი."

მცირე კომენტარი "ფენომენმა" საკუთარ აწმყოზეც გააკეთა: "ბევრი კარგი რამ მოხდა მას შემდეგ, რაც იანვარში მადრიდი დავტოვე და მილანში გადმოვედი. ბოლოს და ბოლოს, დავიბრუნე ფეხბურთის ხალისი, ნამდვილი ბედნიერებაა, რომ ვარჯიშისა და თამაშის საშუალება მაქვს. ჩემი ფიზიკური კონდიციაც სულ უფრო უმჯობესდება, საუკეთესო ფორმაში ჩადგომამდე ბევრი აღარ მიკლია."

დაბოლოს, კომენტარი **ადრიანოს** პრობლემებზე. იტალიური პრესის თანახმად, "ინტერის" ფორვარდმა მილანის ერთ-ერთ დისკოთეკაზე ამერიკელ კალათბურთელთან იჩხუბა. რონალდო ამასთან დაკავშირებით ამბობს: "იმ ღამეს მეც მასთან ერთად ვიყავი, მაგრამ მასზე ადრე წავედი სახლში. სანამ იქ ვიყავი, არაფერი მომხდარა, მაგრამ როცა გაზეთები წავიკითხე, მაშინვე დავურეკე, ადრიანომ კი დაიფიცა, რომ არანაირი ჩხუბი არ მოსვლია. ის, რასაც ადრიანოს შესახებ წერენ, ძალიან ხშირად გაზვიადებულია. სამწუხაროდ, დღეს ის "ინტერისგან" თავს დაცულად არ გრძნობს."

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ტრეზეგე კანუტეს ნაცვლად?

## მალუდა იუვენტუსისთვის მზადაა



დავიდ ტრეზეგე

წასასვლელად გამზადებული **დავიდ ტრეზეგე** სეზონის ბოლოს შეიძლება, სევილიელ **ფრედერიკ კანუტეში** გაცვალონ. ფრანგს "იუვენტუსთან" გაფორმებული კონტრაქტის ვადა 2008 წელს ეწურება, გაგრძელებაზე კი კატეგორიულ უარს აცხადებს. თავისუფალ აგენტად გახდომის შემთხვევაში, ტურინული კლუბი მას უსასყიდლოდ კარგავს, ამიტომ ხელმძღვანელობა ინტენსიურად მუშაობს ასეთი შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად. "იუვენტუსს" ძალიან მოსწონს "სევილიის" ცენტრფორვარდი კანუტე და ერთ-ერთ გამოსავლად მის ტრეზეგეში გაცვლას მიიჩნევს.

მალელ ფორვარდს კონტრაქტი 2009 წელს ეწურება. მისი გამოსასყიდი თანხა 30 მილიონ ევროს შეადგენს, მაგრამ იტალიური პრესა წერს, რომ "სევილია" ფეხბურთელს სიამოვნებით დათმობდა, თუკი სანაცვლოდ ტრეზეგეს შესთავაზებენ. კანუტე, რომელიც **დიდიე დეშამის** ფავორიტია, "სევილიაში" 2005 წელს გადავიდა, მას შემდეგ, რაც თავი "ვესტ ჰემსა" და "ტოტენჰემში" გამოიჩინა. ამჟამად მალელი 19 გოლით პრიმერა დივიზიონის ბომბარდირთა სიას ლიდერობს.

სევილიელებს ამ ინფორმაციაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ. ესპანეთიდან მხოლოდ იმას იუწყებიან, რომ კანუტე ახალ კონტრაქტზე თანახმაა, ოღონდ ხელფასის გაორმაგებას ითხოვს. ამჟამად მას კვირაში 18 ათას ევროს უხდიან. სევილიელები ფრედერიკთან გამოთხოვებას არ აპირებენ. ისინი ფეხბურთელის მოთხოვნას აუცილებლად დააკმაყოფილებენო, წერს "ასი". ფორვარდი ანდალუსიელთა ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე გახდება. მის მსგავს ანაზღაურებას ბრაზილიელი მცველი **დანიელ ალვეში** და დანიელი საყრდენი ნახევარმცველი **კრისტიან პოულსენი** მიიღებენ.

ამასობაში, "იუვენტუსს" ინტერესი გაუძლიერდა **ფლორან მალუდას** მიმართ, რომელიც ღიად აცხადებს, რომ "ლიონის" დატოვება და სერია A-ში თამაში სურს. "იტალიის ჩემპიონატი ძალიან მომწონს და "იუვენტუსში" გადასვლის ვარიანტიც ძალიან მხიბლავს. ჩემი კონტრაქტის ვადა 2011 წელს იწურება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ შეთანხმების მიღწევა შესაძლებელი იქნება", – თქვა ფრანგმა ნახევარმცველმა.

### მალდინის, შეიძლება, წასვლა მოუხდეს

**პაოლო მალდინიმ**, შეიძლება, კარიერა დაასრულოს. ამ ინფორმაციას იტალიური სააგენტოები ავრცელებენ. ლეგენდარული მცველი "როსონერის" შემადგენლობაში 23-ე სეზონს ატარებს. წელს ის მუხლის ქრონიკულმა ტრავმამ გაანამა. პაოლო ექიმების გადაწყვეტილებას ელოდება. თუ დიაგნოზი იმედისმომცემი არ იქნება, ფეხბურთელი თამაშს შეწყვეტს: "ასე გაძლება შეუძლებელია. ტკივილი ვარჯიშში ხელს მიშლის. რამდენიმე დღის წინათ ექიმს ვეწვიე. მან მითხრა, რომ ზედიზედ ორი მატჩის ჩატარება გამიჭირდება. ამის მიუხედავად, იმედს არ ვკარგავ. "რომასთან" მატჩისთვის ვემზადები. ვფიქრობ, განაცხადში აუცილებლად უნდა მოვხვდე."

### ორი მოზარდი ჩელსის სამიზნეში

"ჩელსი" "ფეიენოორდის" 15 წლის ფეხბურთელ **ჯეფრი ბრუმას** ეპატიჟება. ჰოლანდიური პრესის ცნობით, "არისტოკრატები" ბიჭუნას ოთხწლიან კონტრაქტს უმზადებენ და სრულწლოვანებასთან ერთად, მაღალ ხელფასს პირდებიან. ბრუმა როტერდამელთა სარეზერვო გუნდში ირიცხება. მას ოფიციალური ხელშეკრულება ჯერ არ აქვს გაფორმებული. ლონდონელთა ყურადღება მიიპყრო კიდევ ერთმა მოზარდმა, "ესპანიოლისა" და ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების მცველმა **გილიემ სავალმა**. მოსალოდნელ ტრანსფერებზე ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

### დენილსონს არაბეთიდანაც უშვებენ

**დენილსონი** საუდის არაბეთის კლუბ "ალ ნასრასაც" კი აღარ სჭირდება. არაბები ერთ-ერთ კორეულ კლუბთან მართავენ მოლაპარაკებებს. მათ 29 წლის ფეხბურთელის იჯარით გაშვება სურთ. დენილსონი "ალ ნასრაში" გასულ ზაფხულს გადავიდა. მას სარფიანი ერთწლიანი ხელშეკრულება გაუფორმეს, მაგრამ კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს ვერ ასრულებს. ფეხბურთელმა "ალ ნასრის" ხელმძღვანელობას იმედი გაუცრუა. არაბებს სურთ, დენილსონი უმოკლეს დროში მოიშორონ თავიდან. შეგახსენებთ, 1998 წელს მაშინ ჯერ კიდევ 20 წლის ყმაწვილის სანაცვლოდ, სევილიის "ბეტისმა" "სან პაულუს" 40 მილიონი დოლარი გადაუხადა. დენილსონი მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე გახდა და უმალ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო, თუმცა მსოფლიოს რანგის ვარსკვლავი ვერაფრით გახდა.

### ენდი კოული ბირმინგემში მიავლინეს

"პორტსმუთის" თავდამსხმელი **ენდი კოული** სამთვიანი იჯარით "ბირმინგემ სიტიში" გადავიდა. პრემიერლიგის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი სეზონის დარჩენილ ნაწილს ქვედა დივიზიონის კლუბში გაატარებს. ბირმინგემელთა თავკაცმა **სტივ ბრუსმა** შეთანხმების გამო, კმაყოფილება ვერ დამალა. ინგლისელი მიმომხილველები არაფერს წერენ კოულისა და "პორტსმუთის" თავკაცის, **ჰარი რედნაპის** დაპირისპირებაზე. უცნობია, რა გახდა გამოცდილი ფეხბურთელის მოულოდნელი აბარგების მიზეზი.

### კლოპი 12 500 ევროს გადაიხდის

გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიამ "მაინცის" მთავარ მწვრთნელ **იურგენ კლოპს** ფულადი ჯარიმა დააკისრა. წინა კვირაშიც ვწერდით, რომ ჯუჯა გუნდის ახალგაზრდა დამრიგებელმა 18 მარტს, ბრემენის "ვერდერთან" მატჩის დროს, რომელიც მისმა შეგირდებმა 0:2 წააგეს, მთავარ არბიტრ **ტორსტენ კინჰოფერს** სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და მას იდიოტი უწოდა. საფეხბურთო კავშირის სპორტულმა სასამართლომ კლოპს ამის გამო 12 500 ევროს გადახდა დააკისრა.

### ჩერნოგორიელთა წარმატებული დებიუტი

გასულ უქმეებზე ჩერნოგორიის ნაკრებმა პირველი ამხანაგური მატჩი გამართა და უნგრეთს 2:1 მოუგო. ახალგაზრდა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **დეიან სავიჩევიჩმა** წარმატებას ისტორიული უწოდა და ფეხბურთელებს თავდადებისათვის მადლობა გადაუხადა. ჩერნოგორია ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარე მოცუცქნული სახელმწიფოა, რომელმაც სერბეთისაგან დამოუკიდებლობა გასული წლის მიწურულს მოიპოვა. ის უეფას 53-ე წევრად იანვარში მიიღეს. გაისად ჩერნოგორიელების ოფიციალური დებიუტიც შედგება, როცა ისინი მუნდიალის შესარჩევ ტურნირში ჩაებმებიან.

ინგლისის ნაკრები

# მაკლარენის შესაძლო მემკვიდრეები

გუშინ ინგლისელებს ანდორასთან საკვალიფიკაციო მატჩი ჰქონდათ. მისი შედეგი ამავე ნომერში შეგიძლიათ იხილოთ. ანგარიშის განურჩევლად, ნაკრების თავკაცი **სტივ მაკლარენი** საყოველთაო კრიტიკის ობიექტად დარჩება. მიმომხილველთა ერთი ნაწილი მის დათხოვნას წინასწარმეტყველებს. ასახელებენ მაკლარენის შესაძლო მემკვიდრეებსაც. სიას სათავეში უდგანან ჰოლანდიელი **გუუს ჰიდინკი** და ბრაზილიელი **ლუიშ ფელიპე სკოლარი**.

სკოლარის ინგლისელები ზაფხულშიც ეპატიჟებოდნენ. მაკლარენთან კონტრაქტი მხოლოდ მას შემდეგ გაფორმდა, რაც ბრაზილიელმა შეთავაზებაზე უარი თქვა. სეუ ლუიშ ფელიპეს აგენტი ირწმუნება, პორტუგალიელებთან ხელშეკრულებას აღარ გავაგრძელებთო. სკოლარის წარმომადგენელი არ მალავს, რომ სახელგანთქმულ სპეციალისტს ინგლისში მუშაობა სურს.

რაც შეეხება ჰიდინკს, მას რუსეთის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტი გაისად, ზაფხულში უმთავრდება. ეს იმ შემთხვევაში, თუ რუსები ევროპის ჩემპიონატზე მოხვდებიან. ჩემპიონატის მიღმა დარჩენის შემთხვევაში კი ჰიდინკი წელსვე განთავისუფლდება. მწვრთნელის მრჩეველი ამბობს, რომ ჰიდინკი სამომავლო გეგმებზე მხოლოდ მას მერე ისაუბრებს, რაც რუსებთან თანამშრომლობა დასრულდება. აღსანიშნავია ისიც, რომ გუუსი სამწვრთნელო კარიერის დასრულებას 2010 წლის მუნდიალზე აპირებს. მისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ნაკრებთან ერთად გაემგზავრება სამხრეთ აფრიკაში.



გუუს ჰიდინკი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაიერნი

# შვაინი შალკესთან ვერ ითამაშებს?

## მიუნხენელებმა მილანს ბეთ ენდ ვინი აუკრძალეს

შაბათს გერმანიაში დიდი მატჩია - "ბაიერნი" "ალიანს არენაზე" გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერ "შალკეს" უმასპინძლებს. გუშინ "კიკერმა" გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რეკორდმაისტერს, შეიძლება, **ბასტიან შვაინშტაიგერი** ვერ დაეხმაროს. შვაინი გერმანიის ნაკრებიდან ტრავმირებული დაბრუნდა და ორი დღეა, ვერ ვარჯიშობს. მიუნხენელი ექიმები ირწმუნებიან, ბასტიანის ფეხზე დასაყენებლად ყველაფერს გავაკეთებთო, მაგრამ **ოტმარ ჰიტცფელდს** გარანტიებს ვერ აძლევენ. ერთი სიტყვით, შანსი იმისა, რომ შვაინშტაიგერმა "შალკესთან" ვერ იასპარეზოს, უფრო დიდია, ვიდრე იმისა, რომ ამ მნიშვნელოვან თამაშში ძირითადში ვიხილავთ.


ბასტიან შვაინშტაიგერი

მცირე ტრავმა აწუხებს **მარკ ვან ბომელსაც**. სამშაბათს ვერც ჰოლანდიელმა ივარჯიშა. ჩვენი კოლეგები იუწყებიან, რომ ვან ბომელი "შალკესთან" აუცილებლად მოედანზე იქნება, თუმცა 90-წუთიან დატვირთვას, შეიძლება, ვერ გაუძლოს. სხვამხრივ, ჰიტცფელდი კმაყოფილია იმით, რომ ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** დანიასთან ამხანაგური მატჩისთვის (გუშინ გაიმართა) "ბაიერნის" ფეხბურთელებზე უარი თქვა და დაასვენა. შეგახსენებთ, რომ "შალკეს" შემდეგ, ბავარიელებს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, "მილანთან" დაპირისპირება ელით.

მომდევნო ცნობაც "ბაიერნსა" და "მილანს" უკავშირდება. გუშინ გაირკვა, რომ ბავარიის მთავრობა "როსონერის" მიუნხენში "ბეთ ენდ ვინისთვის" რეკლამირებას უკრძალავს. ეს იმას ნიშნავს, რომ იტალიური კლუბი მიუნხენში (მატჩი 11 აპრილს გაიმართება) მაისურზე bwin-ს ვერ დაიწერს. როგორც იცით, "ბეთ ენდ ვინი" ბრემენის "ვერდერის" სპონსორიცაა და ბუნდესლიგის სტადიონების უმეტესობაზე ამ ტოტალიზატორისთვის რეკლამირება "მუსიკოსებსაც" ეკრძალებათ. თუმცა ბრემენულმა კლუბმა ხრიკს მიმართა და მაისურზე we win წააწერა, რაც წესების დარღვევა არ არის, თუმცა კი ყველა ხვდება, რისი რეკლამაცაა. შეგახსენებთ, გერმანიაში "ბეთ ენდ ვინის" რეკლამები მიმდინარე სეზონის დაწყებისას აიკრძალა. ამ საბუკმეკერო კანტორას ძალიან ძველი, გდრ-ის დროინდელი ლიცენზია აქვს...


რაფინია

შალკე

# რაფინია 2011 წლამდე

## ბრაზილიელმა მცველმა კონტრაქტი ვადაზე ადრე გააგრძელა...

"შალკეს" ხელმძღვანელებმა სანაკრებო თამაშებით გამოწვეული პაუზით ისარგებლეს და ბრაზილიელ მცველ **რაფინიას** კონტრაქტი გაუხანგრძლივეს. 21 წლის რაფინიას დიდხანს არ უფიქრია, შეფების შეთავაზებას დათანხმდა და "შალკესთან" ახალი ხელშეკრულება გააფორმა, რომელიც 2011 წლის 30 ივნისამდე იმოქმედებს. *"მიხარია, რომ რაფინია კონტრაქტის გაგრძელებაზე მაშინვე დაგვთანხმდა. ის "შალკეს" მომავალთან ასოცირდება,"* - აცხადებს გელზენკირხენული კლუბის გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი**.

რაფინია "შალკეში" 2005 წელს, "კურიტიბიდან" გადავიდა. გეხსომებათ, სანამ "ხუმარები" ამ ფეხბურთელით დაინტერესდებოდნენ, საუბარი იყო ჩვენებურ **ზურაბ ხიზანიშვილზეც**, რომელიც იმ დროს გლაზგოს "რეინჯერსში" ირიცხებოდა. მაგრამ ქართველი მცველის ტრანსფერი არ შედგა. შემდეგ "შალკემ" რაფინიას დაუმიზნა, რომელიც იმხანად 19 წლის იყო. მაშინ ბრაზილიელმა კონტრაქტი 2009 წლამდე გააფორმა. *"იმ დროს ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რამდენად მოერგებოდა გუნდს. თანაც, ძალიან ახალგაზრდა იყო და ხანგრძლივი ხელშეკრულების გაფორმება ვერ გავრისკეთ. ამ ორი წლის განმავლობაში რაფინიამ დაგვარწმუნა, რომ უძლიერესი ფეხბურთელია,"* - აგრძელებს მიულერი.

ბრაზილიელს მთავარი მწვრთნელი **მირკო სლომკაც** აქებს: *"რაფინია "შალკეს" ერთ-ერთი ლიდერია. მას გუნდში სიცოცხლე შემოაქვს."* აქვე გეტყვით, რომ მიმდინარე სეზონში რაფინიამ ბუნდესლიგის 23 მატჩში ითამაშა, 2 გოლი შეაგდო და ამდენივე საგოლე გადაცემა მიითვალა. "კიკერის" ვერსიით, მისი საშუალო შეფასება 3.2 ბალია.

რეკორდის მოლოდინში

# გიგზი, ცხრაგზის ჩემპიონი?

## რაიანმა ინგლისის ჩემპიონატის რეკორდს დაუმიზნა

თუ "მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემპიონი გახდება, **რაიან გიგზი** ინგლისის ჩემპიონატების ყველა დროის რეკორდს დაამყარებს. ეს მისი მე-9 ტიტული იქნება. ამ მომენტისთვის 33 წლის უელსელის აქტივში რვა საჩემპიონო ტიტულია, იმდენივე, რამდენიც "ლივერპულის" ლეგენდარულ ვარსკვლავებს - **ფილ ნილსა და ალან ჰანსენს** აქვთ. იმასაც შეგახსენებთ, რომ რვაგზის ჩემპიონობის გარდა, რაიანი ასოციაციის თასის ოთხგზისა და ჩემპიონთა თასის ერთგზის გამარჯვებულია.

გიგზი კიდევ ერთ რეკორდს უახლოვდება. ამჯერად საკლუბო მასშტაბის მიღწევაზე ვსაუბრობთ. საქმე ეხება "მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში გამართული მატჩების რეკორდს, რომელიც ლეგენდარულ **ბობი ჩარლტონს** ეკუთვნის და 759 შეხვედრას მოიცავს. გიგზის აქტივში უკვე 703 მატჩია. ფეხბურთელი ამბობს, რომ პირად მიღწევებს მნიშვნელობას საერთოდ არ ანიჭებს: *"როცა კარიერას დავასრულებ, მედლები და ტიტულები, შეიძლება, მერე დავითვალო. ჯერჯერობით კი, მათზე საერთოდ არ ვფიქრობ. ჩემი მედლები "მანჩესტერ იუნაიტედის" მუზეუმშია და შეიძლება, სამუდამოდ იქ დარჩეს. მე ფეხბურთელი ვარ და მხოლოდ ახალ გამარჯვებებს ვითვლი. რაც შეეხება ბობი ჩარლტონის რეკორდს, შესაძლოა, 759 თამაში ვერ დავაგროვო. ამიტომ მასზე ფიქრი ზედმეტად მიმაჩნია. ვიმეორებ, მხოლოდ მომდევნო მატჩსა და მომდევნო ჯილდოს აქვს აზრი."*

ინტერვიუ კლაუდიო პისაროსთან

# ფული, რა თქმა უნდა, მთავარია

## პერუელი თავდამსხმელი ბაიერნის ბოსებს ულტიმატუმს უყენებს...

**კლაუდიო პისაროს "ბაიერნთან" კონტრაქტი სეზონის დასრულებისთანავე უმთავრდება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 28 წლის პერუელმა ფორვარდმა რეკორდმაისტერის ბოსები გააწამა - ახალი კონტრაქტისთვის პისარო ხელფასის გაორმაგებას ითხოვს, მენეჯერი ული ჰიონესი და ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე კი ყოყმანობენ, რადგან კლაუდიოს არც ისე ბევრი გოლი გააქვს, დაახლოებით ისეთივე ჯამაგირი რომ დაუნიშნონ, რამდენსაც ანდრეი შევჩენკო "ჩელსიში" იღებს. ექსპერტები პისაროზე ამბობენ, გოლები მხოლოდ მაშინ გააქვს, როცა ეს თვითონ უნდაო. ფაქტი ის გახლავთ, რომ ბოლო დროს ის უხვგოლიანობით ნამდვილად არ გამოირჩევა. "კიკერთან" ინტერვიუში კლაუდიომ დაწვრილებით ისაუბრა მოლაპარაკებების დეტალებზე, არ დამალა, რომ ფულს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და შეეცადა აეხსნა, თუ რატომ თამაშობდა "ვერდერში" გაცილებით უკეთესად.**

**- ჰერ პისარო, სად ითამაშებთ მომდევნო სეზონში?**

- ჯერ არ ვიცი. მიუნხენში დარჩენა მინდა, მაგრამ ეს სულაც არაა აუცილებელი. თუკი ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებები შედეგს არ გამოიღებს, იძულებული ვიქნები, სხვა სამსახური მოვნახო. ჩემი მრჩეველი "ბაიერნის" ბოსებთან მოლაპარაკებებს აგრძელებს.

**- კარლ-ჰაინც რუმენიგემ მოთმინებისკენ მოგიწოდათ, რადგან ჯერ არაა გადაწყვეტილი, შეიძენს თუ არა "ბაიერნი" მაღალი კლასის ფორვარდს. და თქვენც ითმენთ?**

- სულსწრაფი სულაც არა ვარ, მაგრამ არ დავმალავ, რომ ალტერნატივაზეც ვფიქრობ.

**- თუკი ჰიონესი და რუმენიგე ლუკა ტონის პასუხს ელოდებიან, დიდი შანსია, რომ ამ ლოდინმა მაისამდე გასტანოს...**

- მე მინდა, რომ პასუხი მაისამდე გავიგო. თუკი ისეთ კონტრაქტს არ შემომთავაზებენ, რომელიც დამაკმაყოფილებს, არაერთი წინადადება მაქვს და გუნდის პოვნა ნამდვილად არ გამიჭირდება. სხვათა შორის, გრანდებიდანაც მეპატიჟებიან. აქვე ხაზი მინდა გავუსვა იმასაც, რომ თუ "ბაიერნიდან" წავალ, ბუნდესლიგის სხვა რომელიმე გუნდში ნამდვილად არ გადავალ.

**- რამდენწლიანი კონტრაქტის მიღება გსურთ?**

- ოთხწლიანის.

**- მას მერე, რაც რეკორდმაისტერის მთავარ მწვრთნელად ოტმარ ჰიტცფელდი დაინიშნა, სასტარტო შემადგენლობაში რეგულარულად ლუკას პოდოლსკი და როი მაკაი თამაშობენ. თქვენ კი მუდმივად სათადარიგოთა სკამს ხეხავთ. ალბათ ისიც გსურთ, რომ ძირითადში თამაშის გარანტია მოგცენ...**

- არა, ასეთ გარანტიას არ ვითხოვ, ეს ჩემი მხრიდან უმადურობა იქნებოდა. როცა ფორმაში არა ვარ, სკამზე ჯდომა არ მეთაკილება. სასტარტოში ადგილი თვითონ უნდა მოვიპოვო. ახლა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი იწყება, რომელიც აპრილის შუა რიცხვებამდე გასტანს. ვნახოთ, რა და როგორ იქნება, ყველაფერს ავწონ-დავწონი და შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილებასაც მივიღებ.

**- ჰიონესმა და რუმენიგემ თქვენზე თქვეს, დიდებული ფეხბურთელია, მაგრამ შესაძლებლობების მაქსიმუმს ძალიან იშვიათად ავლენსო...**

- მე ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. როცა ვთამაშობ, მოედანზე ყოველთვის მაქსიმალურად ვიხარჯები და თავს არ ვზოგავ.

**- რუმენიგემ თქვა, ვისაც შევჩენკოსნაირი ხელფასი უნდა, მინიმუმ ისე უნდა თამაშობდეს, როგორც უკრაინელიო...**

- იმ დროს, როცა რუმენიგემ ეს განცხადება გააკეთა, შევჩენკოზე უკეთ ვთამაშობდი და მგონი, ეს ყველამ დაინახა.

**- რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ ფულს?**

- ცხადია, რომ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. რაც არ უნდა იყოს, ეს ჩემთვის უკანასკნელი კონტრაქტია, რადგან პატარა ბავშვი აღარ ვარ. ფული ერთ-ერთი უმთავრესია.

**- ვილი სანიოლის შემთხვევაში "ბაიერნი" დიდ რისკზე წავიდა და ფრანგ მცველს საკმაოდ დიდი ხელფასი დაუნიშნა. ალბათ თქვენც ამ შემთხვევიდან გამოდიხართ და მიგაჩნიათ, რომ სანიოლზე ნაკლები არ ხართ...**

- სანიოლს არ ვედრები, მან "ბაიერნისთვის" ბევრი გააკეთა. მაგრამ რეკორდმაისტერისთვის მეც ძალიან ბევრი გავაკეთე.

**- "ბაიერნმა" ამ სეზონის 7 მატჩში ერთი გოლის გატანაც კი ვერ შეძლო. რატომ?**

- გუნდი შეუთამაშებელი იყო. გარდა ამისა, მაგათის დროს ფეხბურთის თამაშის სურვილი ლამის ყველას დაგვეკარგა. თანაც, უკვე ძალიან დიდი ხანია, რაც ფლეიმეიქერი აღარ გვყავს. გამთამაშებელი ნებისმიერ გუნდს სჭირდება, ის თავდამსხმელებს რეგულარულად ამარაგებს მზაკვრული პასებით. მეჰმეთ შოლი ამ მხრივ საუკეთესოა, მაგრამ სამწუხაროდ, მოედანზე 90 წუთს ველარ ძლებს.

**- რაც დრო გადის, თქვენც სულ უფრო და უფრო ცოტა გოლი გაგაქვთ. 200/01 წლების სეზონში "ვერდერის" მაისურით ბუნდესლიგაში 19-ჯერ იხეირეთ, მას მერე კი უკან-უკან წახვედით...**

- ბრემენში მწვრთნელი თვალდახუჭული მენდობოდა და შესაბამისად, მეც გაცილებით თავდაჯერებული ვიყავი.

**- "ბაიერნში" მწვრთნელი არასდროს გენდობოდათ?**

- როგორ არა, მაგრამ "ბაიერნი" ისეთი გუნდია, რომ წინა ხაზში მწვრთნელი აქ ყოველთვის როტაციას მიმართავდა. წინასწარ არასდროს ვიცოდი, ვითამაშებდი თუ არა მომდევნო შეხვედრაში. ასე ჩემთვის ძალიან რთულია. ესეც არ იყოს, "ვერდერში" ნაღდი გუნდი გვყავდა, ერთი ოჯახივით ვიყავით და ყველა ხედავდა, რომ "ვერდერი" ფეხბურთის თამაშისგან სიამოვნებას იღებდა. "ბაიერნში" ბოლო დროს ასე აღარ იყო, ფეხბურთელებს ერთად თამაში დიდი ხნის განმავლობაში, აღარ უხაროდათ.


კლაუდიო პისარო

**- რა იფიქრეთ, როცა ჰიტცფელდმა კონტრაქტი გააგრძელა. ეს პირადად თქვენთვის კარგია თუ ცუდი?**

- ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ეს კარგია თვითონ ოტმარისთვის და, რა თქმა უნდა, "ბაიერნისთვისაც". მას მერე, რაც ჰიტცფელდმა მაგათი შეცვალა, გუნდის მორალი შეიცვალა. ერთადერთი ჩავარდნა ფრანკფურტში ჩატარებული მატჩი იყო, რომელიც 0:1 წავაგეთ - "აინტრახტთან" ოტმარმა დაცვითი ფეხბურთი აირჩია. გვაკლდა საბრძოლო სულისკვეთებაც. შედეგი კი ისაა, რომ გერმანიის ჩემპიონობაზე უკვე ხელი ჩავიქნიეთ.

**- ითამაშებს თუ არა "ბაიერნი" მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში?**

- მესამე ადგილზე უპრობლემოდ გავალთ, სხვა თუ არაფერი, ამაში მაინც ვარ დარწმუნებული. ჩვენ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს და ამას "შალკესთან" მატჩშიც დავამტკიცებთ.

**- პერუს ნაკრებში რატომ აღარ თამაშობთ?**

- ფეხბურთის ფედერაციამ დისკვალიფიკაცია მომისაჯა. მიზეზი ის გახლავთ, რომ ცოტა ხნის წინათ ნაკრებში თამაში აღარ მოვისურვე. ძველი მწვრთნელის ხელში ასპარეზობა აღარ მინდოდა. მაგრამ პერუს ახლა ახალი დამრიგებელი ჰყავს და ნაკრებშიც დავბრუნდები.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ იენს ლემანთან

# კანსა და ბაიერნს ანგარიში გავუსწორე

## 2003-04 წლების სეზონში ლემანს ხელთათმანები არ გამოუცვლია...

**გუშინ, დანიასთან ამხანაგურ მატჩში გერმანიის ნაკრების კარს რობერტ ენკე იცავდა. მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ბუნდესმწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა ძირითადი ფეხბურთელების დასვენება და სათადარიგო მოთამაშეების გამოცდა გადაწყვიტა. ასე რომ არ ყოფილიყო, ენკეს ნაცვლად ბუნდესნაკრების კარში, რა თქმა უნდა, იენს ლემანი იქნებოდა. მალე ერთი წელი გავა მას შემდეგ, რაც ლემანი გერმანიის ნომერ პირველი მეკარე გახდა, აჯობა რა ბავარიელ ოლივერ კანს. ჟურნალ "რუნდისთვის" მიცემულ ინტერვიუში ლემანი საინტერესო კითხვებს ამომწურავად პასუხობს.**

**- ჰერ ლემან, ტიმო ჰილდებრანდი თავის ხელთათმანებს სარეცხ მანქანაში რეცხავს. თქვენც ასე იქცევით?**

- ხელთათმანებს ყოველთვის საკუთარი ხელით ვრეცხავ და მხოლოდ წყლით.

**- რატომ, უფრთხილდებით, მალე რომ არ დაზიანდეს?**

- არა, უბრალოდ, თავს ვალდებულად ვთვლი, რომ ასე მოვიქცე.

**- "არსენალის" პრესატაშემ გვითხრა, რომ ხელთათმანებს მხოლოდ მაშინ იცვლით, როცა თქვენი გუნდი მარცხდება. 2003/04 წლების სეზონში "არსენალს" არცერთი მატჩი არ წაუგია და საინტერესოა, 49 შეხვედრაში ერთსა და იმავე ხელთათმანებს ხმარობდით?**

- დიახ, ზუსტად ასე იყო. სხვათა შორის, ის ხელთათმანები კედელზე დავკიდე და არაფრისდიდებით არ გადავყრი.

**- ერთი წლის წინათ გულშემატკივრები ინგლისში უფრო დიდ პატივს გცემდნენ, ვიდრე გერმანიაში. ახლა კი განსხვავებული ვითარებაა. როცა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დროს "არსენალი" "ჰამბურგს" ესტუმრა, "აოელ-არენის" პუბლიკა უდიდესი ოვაციებითა და ტაშით შეგხვდათ...**

- ჰო, გამაოგნებელი ეიფორია იყო. მანამდე ჰამბურგში 10-12 შეხვედრა მაინც მექნებოდა ჩატარებული და როცა "აოელ-არენაზე" ვთამაშობდი, პუბლიკა ყოველთვის მისტვენდა ხოლმე. ახლა კი ტაში დამიკრეს, რამაც ძალიან გამახარა და თან გამაკვირვა.

**- გავრცელდა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ "არსენალს" როჟერიო სენის გადაბირება უნდა, მეკარისა, რომელსაც 68 (!) გოლი აქვს გატანილი. თქვენ დღემდე მხოლოდ ორი გოლის გატანა მოახერხეთ...**

- ძალიან კარგია, როცა მეკარეს ამდენი გოლი აქვს გატანილი, მაგრამ სიტუაციასაც გააჩნია. თუკი მეტოქის საჯარიმოში ჩავდივარ, რათა გოლი გავიტანო, ეს იმას ნიშნავს, რომ თამაშს ვაგებთ და უკვე გამოუვალ მდგომარეობაში ვართ. ეს კი სულაც არ არის კარგი, პირიქით, ნამდვილი ჯოჯოხეთია. სამწუხაროდ, ეს ასეა, მიუხედავად იმისა, რომ გოლები დორტმუნდის "ბორუსიასა" და "შალკეში" თამაშის დროს გავიტანე. იმ დროს კი ეს გუნდები ძალიან ძლიერები იყვნენ.

**- ბურთის მიღების შემდეგ სპურტი რომ წამოიწყოთ არსენ ვენგერი რას იტყვის?**

- გადაირევა. ასეთ რალაცეებს ვერ იტანს.

**- ვენგერმა თქვა, რომ სანაკრებო მატჩების რაოდენობა მაქსიმალურად უნდა შემცირდეს და მან ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო შეხვედრების შეკვეცა მოითხოვა...**

- და ამაში აბსოლუტურად ვეთანხმები. მაგალითად, სან მარინოსთან ან კვიპროსთან მატჩები არაფრისმომტანია. ამ დროს მხოლოდ ვილლებით და ეს დროის უაზრო კარგვაა. განა, უმჯობესი არ იქნებოდა, რომ საკვალიფიკაციო ეტაპზე ასეთ სუსტ გუნდებს არ ვეთამაშებოდეთ? ასეთ შემთხვევაში, თამაშები უფრო დიდ ინტერესსაც გამოიწვევდა და ჩვენ, ფეხბურთელებიც არ ვიქნებოდით უაზრო სიტუაციებში. შესაბამისად, კლუბებიც ამოისუნთქავენ და ჩვენც.

**- გერმანიის საფეხბურთო კავშირში დიდი რევოლუცია დაიწყო და ამას თქვენ გაბრალებენ...**

- "ადიდასისა" და "ნაიკის" ამბავს გულისხმობთ?

**- დიახ და ამაში გაზეთი "ბილდიც" მოგეხმარათ...**

- ნამდვილად არ ვარ რევოლუციონერი. ჯერ ერთი, ბუცების თავისუფლად არჩევას მხოლოდ მე არ ვითხოვდი, ჩემთან ერთად კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი იყო. ჩვენ "ადიდასის" ბუცები მართლაც ფეხებს გვტკენდა - უბრალოდ, მიჩვევის ამბავია და რა გასაკვირია, რომ თავისუფალი არჩევანი მოვითხოვეთ. გარდა ამისა, საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა თეო ცვანციგერმა მხარი დაგვიჭირა, რადგან მან იცის, რომ ფეხბურთელი ყველა ბუცს ვერ იხმარს, თუ ერთსაა შეჩვეული. ჩემი აზრით, ეს რევოლუცია, როგორც თქვენ უწოდებთ, მე არ დამიწყია. უბრალოდ, "ადიდასი" ჯანმრთელობის პრობლემას მიქმნიდა მეცა და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელსაც.

**- ფინანსური დაინტერესება არაფერ შუაშია?**

- არავითარ შემთხვევაში.

**- სულ რალაც ერთი წლის წინათ ამტკიცებდით, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირი "ბაიერნს" ყოველთვის და ყველაფერში ეხმარება. გარდა ამისა, ამბობდით, რომ მიუნხენურ კლუბს გერმანულ მედიაშიც ლობირებენ. ვითარება მას მერე შეიცვალა, რაც გერმანიის ნაკრების პირველი მეკარის სტატუსი მიიღეთ და კანი კარიდან ამოაგდეთ. მერე კი ამას ისიც მოჰყვა, რომ DFB თითქმის უკვე მოურიგდა "ნაიკს", ფირმას, რომელსაც თქვენ ეკუთვნით და მზადაა, "ადიდასს" უარი უთხრას. მოკლედ, ყველა ბრძოლა მოიგეთ, ასე არ არის?**

- მოდით, ასე ვიტყვი: მე ჩემს სხეულს ვერაფერს ვუბრძანებ - ფეხები რომელ ბუცებშიც არ მეტკინება, იმას ჩავიცვამ და რომელ ხელთათმანებშიც უფრო უკეთ ვიგრძნობ ხელებს, იმას გავიკეთებ. ვფიქრობ, ამაში გაუგებარი არაფერია. იგივე ეხებათ სხვა ფეხბურთელებსაც. მე სულაც არ ვფიქრობ, რომ "ადიდასი" დავამარცხე.

**- მუნდიალის დროს გადაღებულ ფილმში "გერმანია - ზაფხულის ზღაპარი", ყველაფერზე გულახდილად საუბრობთ და კონკრეტული სახელებისა და გვარების დასახელებასაც კი არ ერიდებით...**

- დიახ და ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ ყველამ უნდა იცოდეს, რაც იყო და როგორც იყო. გერმანიის ნაკრებში 1998 წელს მოვედი. ზუსტად ერთი წლის შემდეგ ანდრეას კიოპკემ კარიერა დაამთავრა და წესით, ბუნდესგუნდის პირველი მეკარე მე უნდა გავმხდარიყავი. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე შესანიშნავად ვიასპარეზე, მერე კი ოლივერ კანიც გამოჯანმრთელდა და ერთობ უსიამოვნო სიტუაცია შეიქმნა - ვის უნდა ეთამაშა ევროპის ჩემპიონატზე? ვფიქრობ, რომ პირველობას მე ვიმსახურებდი. ტურნირამდე იყო თურქეთთან მატჩი, რომელშიც ოლიმ შეცდომა დაუშვა. მიუხედავად ამისა, ევროპის ჩემპიონატზე მაინც მან ითამაშა, ჩემთვის კი შანსიც ალარ მოუციათ. ორი აზრი არ არსებობს, ეს იმიტომ მოხდა, რომ "ბაიერნის" ხელმძღვანელებმა მაშინდელი ბუნდესმწვრთნელი ერიხ რიბეკი უმძიმესი წნეხის ქვეშ მოაქციეს და ფაქტობრივად აიძულეს, პირველ მეკარედ კანი ელიარებინა. ერთი სიტყვით, "ბაიერნმა" რიბეკის იმ გადაწყვეტილებაზე დიდი გავლენა იქონია. მე კი დავიჩაგრე. ოდესმე ანგარიში უნდა გამესწორებინა და აი, გავუსწორე კიდეც - მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების კარს, ბოლოს და ბოლოს, მე ვიცავდი. მაგრამ ახლა ეს ყველაფერი უკვე ალარ მაღელვებს, რადგან წარსულია. თან, ანგარიშიც გასწორებულია.

**- სად ითამაშებთ მომდევნო სეზონში?**

- დააკვირდით: ჩემი შვილები ლონდონის სკოლაში დადიან, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ "არსენალში" დარჩენა მინდა. თუმცა არ უარვყოფ, რომ კარიერის გერმანიაში გაგრძელება და დასრულებაც საინტერესო იქნებოდა. ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი და ჩვენც ვფიქრობთ, როგორ მოვიქცეთ. ჩვენც-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ შვილებისა და მეუღლის აზრიც უნდ გავითვალისწინო. უფრო სწორად, ახლა გადამწყვეტი სიტყვა მათ ეთქმით.

**- რომელი გუნდები გეპატიჟებიან?**

- მოდით, დაკონკრეტებას ნუ მომთხოვთ. მქონდა ერთი შემოთავაზება, მაგრამ როგორც კი მის შესახებ შევიტყვე, მაშინვე მივხვდი, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა. ვნახოთ, რა და როგორ იქნება, რალაცას აუცილებლად გადავწყვეტ.

**- იტალიასთან მატჩის შემდეგ გუნდის გასახდელში კანცლერი ანგელა მერკელი შემოვიდა და როგორც ფილმშიც ჩანს, საშინელ ხასიათზე იყო..**

- თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ფრაუ მერკელი, პირადად მე, იმ მომენტში გავიცანი, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ორჯერ შევხვდი და ვესაუბრე. იტალიასთან წაგების შემდეგ ჩვენთან მოვიდა არა გერმანიის კანცლერი, არამედ ერთი ჩვეულებრივი ქალი, რომელიც დამწუხრებული იყო იმის გამო, რომ მისი ქვეყნის პირველმა გუნდმა მუნდიალის ნახევარფინალში წააგო. ფრაუ მერკელის აბსოლუტურად რეალური ემოცია არასდროს დამავიწყდება და ამ ყველაფერმა ის ჩემს თვალში კიდევ უფრო სიმპათიურ ქალად აქცია. მას ოდნავადაც არ ეტყობოდა, რომ დიდი ძალაუფლების პატრონია. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ანგელა მერკელი ასეთი იქნებოდა, ვგულისხმობ იმას, რომ მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ კანცლერებსა და პრეზიდენტებს ფეხბურთი ფეხებზე ჰკიდიათ.

**- შეცვალა თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატმა თქვენი წარმოდგენები გერმანიაზე?**

- დიახ, თანაც ძალიან. მუნდიალის დასრულების შემდეგ ყველანი საშინელ ხასიათზე ვიყავით, ვერ ვიჯერებდით, რომ ეს დიდი საფეხბურთო ზეიმი დამთავრდა. პირადად ჩემთვის კი ეს გრძნობა ორმაგად მტკივნეული იყო, რადგან უკვე ვიცოდი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ალარასოდეს მომიწევდა, რომ ეს ჩემთვის უკანასკნელი მუნდიალი იყო. გერმანელი ვარ, მაგრამ ასეთი ერთსულოვანი და ერთ მუშტად შეკრული გერმანია არასდროს მინახავს.

**- ინგლისელმა მეგობრებმა რა გითხრეს?**

- ყველა მეუბნებოდა და დღესაც მეუბნება, რომ მუნდიალის წინ გერმანიაზე სულ სხვა წარმოდგენა ჰქონდათ. ისინი ვერც კი იფიქრებდნენ, თუ გერმანია "ასეთი" გამოდგებოდა.

**გოტფრიდ ლენცი**



იენს ლემანი



მომო სისოკო (მარცხნივ)

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ბარსელონამ სისოკო მოიკითხა

"ბარსელონა" ლივერპულელი **მომო სისოკოთი** დაინტერესდა. **ფრანკ რიიკაარდი** ნახევარდაცვის გაძლიერებას ცდილობს. მოედნის ცენტრში მას ისეთი ფეხბურთელი სჭირდება, რომელიც ბურთს დაიჭერს და თანაგუნდელებს თამაშის წარმართვაში დაეხმარება. სისოკო ამ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს. "დიარიო სპორტის" ცნობით, მალელ ფეხბურთელს კატალონიელთა სატრანსფერო სიაში ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია უჭირავს. "ბარსელონის" გარდა, სისოკოს "იუვენტუსიც" აკვირდება. მომო "ლივერპულის" საკვანძო ფიგურაა. მერსისაიდელთა თავკაცი **რაფა ბენიტესი** მასთან გამოთხოვებას არ აპირებს.

რიიკაარდს კიდევ ორი საყრდენის გვარი აქვს მონიშნული. ერთი სევილიელი **კრისტიან პოულსენია**, მეორე - სარაგოსელი **ალბერტო საპატერი**. სეზონის ბოლოს კატალონიელები **ტიაგო მოტასა** და **ედმილსონის** გაყიდვას აპირებენ. სისოკომდე ინტენსიურად განიხილებოდა ვალენსიელი **დავიდ ალბელდას** საკითხიც.

გარიგება დასრულდა

# ლივერპული, ამერიკულთა პირად საკუთრებაში

**ჯორჯ ჯილეტმა** და **ტომ ჰიკსმა** "ლივერპულის" აქციათა მორიგი პაკეტი შეიძინეს. ფინანსური ოპერაციის შედეგად მათ მერსისაიდელთა აქციების 98.6 პროცენტი გადაეცათ. უახლოეს დღეებში კლუბი ამ ორი ჯენტლმენის პირად საკუთრებად გამოცხადდება. ერთი წლის წინათ ასევე მოიქცა **მალკოლმ გლეიზერი**, რომელმაც "მანჩესტერ იუნაიტედის" აქციები შეიძინა. განსხვავება ამ ორ გარიგებას შორის ის გახლავთ, რომ გლეიზერი "მენიუს" დასაკუთრებამდე ორი წლის განმავლობაში კლუბის აქციათა შედარებით მოკრძალებულ წილს ფლობდა და დანარჩენი ფასიანი ქაღალდების შეძენას არ ჩქარობდა.

რაც შეეხება ჯილეტსა და ჰიკსს, მათ "ლივერპულის" შეძენას სულ რალაც ორი თვე მოანდომეს. ამ გარიგების წყალობით, მერსისაიდელთა ჯერ კიდევ მოქმედმა თავმჯდომარემ **დევიდ მურსმა**, საკუთარი წილის სანაცვლოდ 88 მილიონი გირვანქა მიითვალა.

მშობლის თვალით დანახული ადრიანო

# სევდიანი იმპერატორი ინტერში დარჩება

## დედა ფორვარდს იტალიიდან წასვლას ურჩევდა

**ბოლო** ერთ თვეში ადრიანო ორი სკანდალური ისტორიის გმირად იქცა. მილანურ დისკოთეკებზე გათენებული ღამეებისა და ჩხუბების შესახებ ჩვენც ვწერდით და თავიდან აღარ მოვყვებით. ამ მოვლენების შემდეგ ფორვარდი კარლოს დუნგამაც გაკიცხა, დროა, ჭკუას მოუხმოსო და "სელესაოს" ორ ამხანაგურ შეხვედრაზე არ გამოიძახა. იტალიური პრესა სულ უფრო ხშირად წერს, ადრიანოს უდისციპლინობა "ინტერშიც" მობეზრდათ და მის გაყიდვაზე სერიოზულად ფიქრობენო. ერთი სიტყვით, ბრაზილიელს, ორთვიანი გამონათების შემდეგ (იანვარ-თებერვალში), ისევ მძიმე დროება დაუდგა. რა სჭირს ადრიანოს? ხომ არ მოახლოვდა მისი "ინტერიდან" წასვლის მომენტი? ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად "გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტი ფეხბურთელის დედას რიოში ესტუმრა და შვილის პრობლემებზე გაესაუბრა. ინტერვიუს შესავალში იტალიელი ჟურნალისტი წერდა: "დედა, მაშინ უფრო ბედნიერი ვიყავი, როცა არაფერი გვქონდა". ასეთ ფრაზას ეუბნება ხოლმე ადრიანო დედას, როცა გულდამძიმებული მილანიდან ტელეფონით ურეკავს. ასე ცდილობს ბოღმის ამოღებასა და ტკივილის გაქარწყლებას. სევდიანი "იმპერატორი" დედისგან დახმარებას ითხოვს, რათა გამოვიდეს იმ ჩიხიდან, რომელშიც ბოლო დროს აღმოჩნდა. რიოში, ბარა და ტუჟიკას კვარტალში, ჩვენი მასპინძლები დედა როზილდა და ბებია ვანდა არიან. ადრიანოს 7 წლის ძმა, ტიაგო სტუმრების დანახვაზე თვალისდახამხამებაში სადღაც ქრება, ისეთივე ღიმილით, როგორითაც სტუმრებს ქალბატონი როზილდა ხვდება. თავაზიანი, მშვიდი ადამიანია დონია როზილდა, იმ დედის გამოხედვით, რომელმაც იცის, რომ ბედნიერება დაბრუნდება.

"გადავწყვიტე, რომ დუმილი დავარღვიო – ამბობს ფეხბურთელის დედა - მინდა, რომ სათქმელი გულში აღარ დავიტოვო და ყველაფერი ვთქვა. ადრიანო დღეში რამდენჯერმე მირეკავს, არის მომენტები, როცა გულწრფელად მეუბნება, რომ მეტი აღარ შეუძლია, რომ ამდენს ველარ უძლებს. მინდა, რომ გავამხნევო, ძალა მივცე, იმიტომ, რომ იმსახურებს, მეტიც, დავალებული ვარ, რომ ეს გავაკეთო. ერთ ამბავს მოგიყვებით: როცა მისი მამა თავში მძიმედ დაჭრეს და სიკვდილის პირას იყო, დეპრესიაში ჩავვარდი, აღარ ვიცინოდი, საჭმელს აღარ ვჭამდი. ადრიანომ მითხრა: "დედა, შენ თუ არ შეჭამ, მეც არ შევჭამ, შენ თუ არ გაიცინებ, არც მე გავიცინებ". ათი წლის იყო, მაგრამ მან მომცა ცხოვრების ძალა".



დედა როზილდა და ბებია ვანდა

**- თქვენ თუ იცით იმის შესახებ, რაც მილანში ხდება? გაზეთები წაიკითხეთ?**

- ადრიანო ყველაფერს მიყვება, მე ყველაფერი მანამდე ვიცი, სანამ გაზეთებში გამოქვეყნდება და ვიცი სიმართლე – არა ის, რასაც ჰყვებიან. პრესა წვრილმანებს ისე აღწერს, რომ ამაზრზენ ფაქტებად მოგაჩვენებს.

**- იქნებ თქვენი შვილი შეიცვალა?**

- არა, ადრიანო ისევ ის ბიჭია, რომლითაც ყველა აღტაცებული იყო. ერთი ნაკლი აქვს – ყველას ენდობა, ერთმანეთისგან ვერ არჩევს იმ ადამიანებს, ვინც მის გვერდით სიყვარულით დგას და ვინც მხოლოდ ანგარებით ემეგობრება. ვერ ამჩნევს ბოროტებას. შეიძლება, არის ვილაც, ვინც ისეთ რაღაცეებს აკეთებინებს, რასაც მარტო არ გააკეთებდა.

**- რატომ ხართ ასე დარმუნებული?**

- მე დედა ვარ. ადრიანომ ცხოვრებაში ბევრი ტანჯვა გამოიარა. ის ფაველაში გაიზარდა, შვიდი წლის იყო, როცა მის თვალწინ ხალხი დახოცეს, 10 წლის რომ გახდა, საკუთარი თვალით ნახა მამა როგორ დაუჭრეს. დამიჯერეთ, ცხოვრებაში მას ადვილად არაფერი მოსვლია, მაგრამ ყველანაირი სიძნელე დაძლია, ისე, რომ ცუდი არავისთვის გაუკეთებია. ერთხელ, ბავშვობაში, მისმა მასწავლებელმა დამირეკა და გაოცებულმა ერთი ამბავი მომითხრო: მასწავლებელს ბავშვებისთვის ასეთი თამაში შეუთავაზებია: ის შეარჩევდა მოსწავლეს, რომელსაც ძაღლის იმიტაცია უნდა გაკეთებინა. არჩეულ ბავშვს ტირილი დაუწყია, არ უნდოდა ძაღლის იმიტაცია, ადრიანო წამომდგარა და თანაკლასელის მაგივრად თვითონ გაუკეთებია. ბავშვებში ასეთი ერთგულებისა და თანადგომის ჟესტები ძალიან დიდი იშვიათობაა. ჩემი შვილი მაშინ რვა წლის იყო.

**- შეიძლება, პრობლემა თავად "ინტერში", გუნდის შიგნით უნდა ვეძებოთ. იქნებ ის დროა, რომ გუნდის გამოცვლა ღირდეს. თქვენ რას ფიქრობთ?**

- გამოგიტყდებით, რომ ამას მეც ვფიქრობდი. ვუთხარი: "წადი მილანიდან, და თუ გინდა, საერთოდ იტალიიდან, გადადი იქ, სადაც ბედნიერი იქნები". მაგრამ მისმა პასუხმა მიმახვედრა, რომ ეს არ არის გამოსავალი. ასე მითხრა: "დედა, აქ კარგად ვარ, გუნდში ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მორატი ისე მექცევა, როგორც საკუთარ შვილს. "ინტერი" ჩემი სახლია და წასვლა არ მინდა". არც წავა. მორატიმ მისთვის ისეთი საქმეები გააკეთა, რომ ვერც კი წარმოიდგენთ. როცა მამა გარდაეცვალა, მორატიმ თავისი კეთილშობილებით ყველა გაგვაოცა.

**- დარწმუნებული ბრძანდებით, რომ პრობლემები არც ერთ თანაგუნდელთან არ აქვს?**

- ადრიანო ხალხს უყვარს. ყოველთვის ასე იყო: ბავშვობაში მეგობრების მშობლები მასზე უზომოდ იყვნენ შეყვარებულები. ახლაც ასეა: ვინც მას იცნობს, ყველას უყვარდება. მილანში მასთან ოთხი თვე ვიყავი, რიოში იანვარში დავბრუნდი. თვითონ ვნახე, როგორ სტუმრობდნენ სალამოობით ვახშამზე იბრაჰიმოვიჩი, მაიკონი, დაკური, ვიეირა, ფიგუ. შევმჩნიე, როგორ აფასებს ჟულიო სეზარი, როგორ ეპყრობა მაქსველი, როგორ ეხუმრება გუნდის ექიმი, როგორ აცინებს გუნდის ადმინისტრატორი. არა, არა, დამიჯერეთ, თანაგუნდელებთან არანაირი პრობლემა არა აქვს.

**- და მწვრთნელთან? მანჩინისთან გარკვეული უთანხმოება აქვს...**

- ადრიანო ხანდახან წუწუნებს იმის გამო, რომ მწვრთნელი საყვედურს ეუბნება, მაგრამ ავუხსენი, ამას იმიტომ აკეთებს, რომ შენთვის კარგი უნდა-მეთქი. მის მიმართ გულგრილი რომ იყოს, რომ არ აფასებდეს, მაშინ დროსაც არ დაკარგავდა მისთვის შეცდომების გამოსწორებაზე. ერთხელ, როცა "პარმაში" თამაშობდა, რომში წავყევი და "ლაციოსთან" შეხვედრას დავესწარი. "პარმამ" 3:2 მოიგო, ადრიანომ გოლიც გაიტანა და საერთოდ, იმ დღეს გამანადგურებელი იყო. თამაშის შემდეგ მანჩინის (მაშინ "ლაციოს" წვრთნიდა) კომენტარს მოვუსმინე. ასე თქვა: "მომეცით ადრიანო და მერე განახებთ".

**- თქვენ როგორ ხსნით შვილის ასეთ რთულ პერიოდს?**

- ადრიანო უბრალო ბიჭია, იცით, რაზე ოცნებობს? ოჯახის შექმნაზე, ისეთ ქალთან ერთად, რომელიც გაუგებს და ბევრ შვილს აჩუქებს. ამ ოცნების ასრულება უკვე სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. საყვარელ ქალთან განშორება მისთვის ძალიან მძიმე დარტყმა იყო. მერე, იმ პერიოდში, მამაც გარდაეცვალა. პირადულმა პრობლემებმა მის თამაშზეც იმოქმედა, დაკარგა ხალისი, რწმენა, თავდაჯერება. არასდროს მინახავს ისეთი სევდიანი, როგორიც ახლაა, არადა, სიმწარე წარსულშიც ძალიან ბევრი უნახავს. თუმცა ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: მე ღრმად მორწმუნე ევანგელისტი ვარ, ვიცი, რომ ის, რასაც ადრიანომ მიაღწია, ღმერთის ნება იყო, ვერც ერთი მოკვდავი ვერ შეძლებდა თავისით ამდენის გაკეთებას. ყოველთვის ვუმეორებ, რომ ღმერთი საქმეს შუა გზაზე არასოდეს ტოვებს, რომ უნდა იბრძოლოს, თუ წაიქცევა, უნდა წამოდგეს, რასაც ყოველთვის ახერხებდა, ცხოვრებაში ისევ მეომარი უნდა გახდეს, ღმერთი დაეხმარება. ახლა მხოლოდ იმას ვისურვებდი, რომ ის, ვინც ადრიანოს სასტიკად აფასებს და 25 წლის ბიჭს ხშირად მორალურად ანადგურებს, ერთ რამეზე დაფიქრდეს: ასევე მოექცეოდა, მისი შვილი რომ იყოს?

**გოგა ახალაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰანს იორგ ბუტი

დაპირისპირება

# ბუტი: ბაიერიდან წავალ!

"ლევერკუზენის" მეკარე **ჰანს იორგ ბუტმა** მთავარი მწვრთნელი **მიხაელ სკიბე** გააკრიტიკა და აბარგებით დაიმუქრა. 32 წლის გოლკიპერი უკმაყოფილოა იმით, რომ სკამზე გადასვეს, პირველი მეკარის სტატუსი კი ახალგაზრდა **რენე ადლერს** მიანიჭეს, რომელიც, უნდა აღინიშნოს, რომ შესანიშნავად გამოიყურება. ბუტი, რომელიც "ბაიერში" 2001 წლიდან ირიცხება (მანამდე "ჰამბურგში" თამაშობდა), ამბობს, რომ სკიბე უსამართლოდ მოექცა.

*"ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მქონდა და არ მეგონა, ამის გამო რეგულარულად სათადარიგოთა სკამის ხეხვა თუ მომიწევდა,"* - ამბობს ვეტერანი მეკარე. შეგახსენებთ, რომ იმ ერთ თამაშში ადლერმა ბრწყინვალედ იასპარეზა, რის გამოც სკიბემ მომდევნო შეხვედრებშიც ის ათამაშა. ახალგაზრდა გოლკიპერმა ყველა მატჩში დაამტკიცა, რომ დიდი მომავალი აქვს. ბუტიც ხვდება, რომ სასტარტოში დაბრუნების შანსი, ფაქტობრივად, აღარ გააჩნია. ის ამბობს, თუ ზაფხულამდე არაფერი შეიცვალა, ახალ გუნდს მოვძებნი, რადგან უსაქმურობას არ ვაპირებო.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# რიბერი არსენალს მიუახლოვდა

**ფრანკ რიბერი** არსენალს უახლოვდება. "ფრანს ფუტბოლის" ცნობით, ფეხბურთელსა და კლუბს შორის მიღწეულია სიტყვიერი შეთანხმება. **არსენ ვენგერი** მოლაპარაკებებში პირადად მონაწილეობს. რიბერი თანამემამულე მწვრთნელს უდიდეს პატივს სცემს. მისთვის **ტიერი ანრის** ფაქტორიც გადამწყვეტია. რიბერიმ გავლენიან ფრანგულ გამოცემას ასეთი კომენტარი მისცა: *"არ მინდა ისეთსავე ვითარებაში აღმოვჩნდე, როგორც ერთი წლის წინათ. ჩემი მიზანი, "მარსელთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში გასვლაა. ჩემს მომავალზე სეზონის ბოლოს ვისაუბრებ. თუმცა არ დაგიმალავთ, კლუბები, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ჩემი შეძენა სურდათ, დღესაც მიკავშირდებიან."*

"არსენალის" გარდა, ახალგაზრდა ფლეიმეიქერის შეძენა "ლივერპულსა" და "მანჩესტერ იუნაიტედსაც" სურთ. აქვე გეტყვით, რომ ფრანკი დაშავებულია და მინდორზე დაბრუნებას აპრილის შუა რიცხვებში აპირებს. მან ტრავმა 25 თებერვალს "ტულუზთან" 0:3 წაგებულ შეხვედრაში მიიღო და თვეზე მეტია, მინდორზე არ გამოჩენილა. ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზით, რიბერი 8 აპრილს "ლილის" წინააღმდეგ ითამაშებს.

სანქცია

# 100 ათასი ჩხუბისთვის

## ჩელსისა და არსენალს ლიგის თასის ფინალი ძვირი დაუჯდათ...

"არსენალი" და "ჩელსი" 100-100 ათასი გირვანქით დააჯარიმეს. მიზეზი 25 თებერველს ინგლისის ლიგის თასის ფინალში მომხდარი ინციდენტებია. თამაშის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე ჩელსელი **ჯონ ობი მიკელი** და არსენალელი **კოლო ტურე** ერთმანეთს წაეკიდნენ. მათ დაპირისპირებაში ორივე გუნდის ფეხბურთელები და მწვრთნელებიც კი ჩაერთნენ. კონფლიქტმა მასშტაბური ხასიათი მიიღო. არბიტრ **ჰოვარდ ვებს** ვითარების განსამუხტავად რამდენიმე წუთი დასჭირდა. საბოლოოდ, მან წითელი ბარათები აუფრიალა ჩხუბის წამომწყებებს, მიკელსა და კოლო ტურეს და გასახდელის გზას გაუყენა კიდევ ორი არსენალელი - **ემანუელ ადებაიორი** და **ემანუელ ებუე**. ფეხბურთელებს ხანგრძლივი დისკვალიფიკაციები მიესაჯათ, მაგრამ საფეხბურთო ასოციაციამ ეს არ იკმარა და კლუბებსაც დააკისრა პასუხისმგებლობა.



აყალმაყალი მილენიუმზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ არიგო საკისთან

# მე და რიიკაარდი სამოთხეში შევხვდებით

## ბარსელონის დამრიგებელი რეალის ყოფილი გენერალური დირექტორის საუკეთესო მოსწავლეა, თავად იტალიელი კი ძველ შეგირდში ყველაზე მეტად ადამიანურ თვისებებს აფასებს

**გასულ კვირას ბარსელონაში EFPA-ს (ევროპის ვეტერან ფეხბურთელთა ასოციაცია) კონგრესი გაიმართა. კატალონიის დედაქალაქს უამრავი ცნობილი საფეხბურთო მოღვაწე ეწვია. მათ შორის გახლდათ არიგო საკიც. სხვათა შორის, ყოფილ მწვრთნელს 1 აპრილს 61 წელი შეუსრულდება. "დიარიო სპორტის" კორესპონდენტმა სინიორ საკის ვიზიტი კარგად გამოიყენა და მისგან საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ აიღო.**

**- კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება ბარსელონაში. როგორ გრძნობთ ჩვენს ქალაქში თავს?**

- "კამპ ნოუსთან" ფანტასტიკური მოგონებები მაკავშირებს. "მილანთან" ერთად აქ ორჯერ ვიყავი. ერთხელ "სტიაუას" 4:0 მოვუგეთ, შემდეგ კი ევროპის სუპერთასზე ფრედ, 1:1 ვითამაშეთ. სხვათა შორის, "კამპ ნოუს" "ატლეტიკოსთან" ერთადაც ვესტუმრე. მაშინაც ძალიან გამიმართლა, რადგან "როხიბლანკომ" 1:0 მოიგო. გუშინ ლაპორტას შევხვდი და კიდევ ერთხელ ვუთხარი, რიიკაარდი ჩემი საუკეთესო მოსწავლე აღმოჩნდა-მეთქი. როცა მან "რეალი" სუპერკლასიკოში დაამარცხა, ძალიან გულდაწყვეტილი დავრჩი. მოგეხსენებათ, სამეფო კლუბის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე ვმუშაობდი. ამიტომ, წარუმატებლობა მართლაც დიდად განვიცადე, მაგრამ მეორე მხრივ, როგორც ფეხბურთის მოყვარული, თამაშის ხარისხითა და სანახაობრივი თვალსაზრისით მეტისმეტად ნასიამოვნები ვიყავი.

**- ლაპორტას "ბარსელონაში" მუშაობა ხომ არ შემოუთავაზებია?**

- (იცინის) არა. ჩვენ კარგი მეგობრები ვართ. შარშან მადრიდული სუპერკლასიკოს წინ ყურში ჩამჩურჩულა, დიდი მადლობა მსურს მოგახსენოთ. რიიკაარდი თქვენზე ბევრს მიყვება, მან მითხრა, არიგო საკი ჩემი საუკეთესო მასწავლებელიაო. გემახსოვრებათ, ეს თამაში 0:3 წავაგეთ. ამის შემდეგ უკვე მე მივედი ლაპორტასთან და ასევე ყურში ჩავჩურჩულე, ვერ გავიგე რაშია საქმე, როგორც ჩანს, რიიკაარდმა საკუთარ მასწავლებელს აჯობა-მეთქი (იცინის). როგორც მიხვდით, ეს საუბარი გუშინ გავაგრძელეთ. რიიკაარდი მართლაც გენიალური მწვრთნელი დადგა.

**- ლაპორტას მუშაობას როგორღა შეაფასებთ?**

- რა თქმა უნდა, ცალსახად დადებითად. მწვრთნელს არ შეუძლია გუნდის აშენება. აი, თავად გუნდს კი ძალუძს მწვრთნელს მხარში ამოუდგეს და გუნდის მშენებლობაში მას ფასდაუდებელი დახმარება გაუწიოს. სამუშაო ატმოსფეროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ლაპორტას წყალობით კი "ბარსელონაში" არაჩვეულებრივი ატმოსფერო შეიქმნა.

**- ამ მხრივ "მილანში" როგორი სიტუაცია სუფევდა?**

- ძალიან სერიოზულები ვიყავით. წარმოუდგენლად ბევრს ვმუშაობდით. ფეხბურთელებმა იცოდნენ, რომ "როსონერიში" დასარჩენად თავგანწირვა მართებდათ. თუ ამას არ გააკეთებდნენ, ჩვენს გუნდს დატოვებდნენ.

**- რიიკაარდის მთავარ ღირსებად რას მიიჩნევთ?**

- ფრანკს უამრავი ღირსება აქვს, თუმცა მასში ყველაზე მეტად ნოვატორული ნატურა მომწონს. რიიკაარდს უამრავ ნიჭიერ ფეხბურთელთან უწევს მუშაობა, მაგრამ თუ ნიჭიერებას მწვრთნელის პროფესიონალიზმი და ხალისი არ დაერთვება, საქმე წარმატებებს არ მოიტანს. ჩემი შეხედულებით, დიდ ფეხბურთს სამი გარემოება განაპირობებს - ნიჭი, შრომა და განწყობა. ტაქტიკას ექსკლუზიური უფლებებით მხოლოდ მწვრთნელი ადგენს. მხოლოდ მან იცის, თუ როგორ წარმართოს ვარჯიშები, როგორ გამოიყენოს შეგირდების ესა თუ ის უნარი. წელში გამართული კოლექტივი კი ინდივიდს საშუალებას აძლევს, რომ ნიჭიერება სრულყოფილად გამოამჟღავნოს. რიიკაარადი სწორად მოიქცა, რადგან მან ჯერ სერიოზული კლუბი იპოვნა, შემდეგ კი სასურველ ფეხბურთელებს მოუყარა თავი. საღად მოაზროვნე ადამიანები მწვრთნელი ყოველთვის ამ მეთოდით მუშაობს.

**- რა განსხვავებაა მწვრთნელ რიიკაარდსა და ფეხბურთელ რიიკაარდს შორის?**

- ფრანკი ახლაც ფანტასტიკურად მუშაობს. თითქოს, "ბარსელონას" პრობლემები აქვს, მაგრამ მჯერა, რომ უახლოეს მომავალში კატალონიური გიგანტი ჩვეულ ფორმას დაიბრუნებს. ფეხბურთელები ნებისმიერ წამს, დღისით და ღამით გრანდიოზულ მოტივაციას უნდა გრძნობდნენ. არ გამოვრიცხავ, რომელიმე ვარსკვლავს ეფიქრა, შარშან მაქსიმუმს მივაღწიეთ და ცოტას მოვდუნდებიო. რიიკაარდი მათ ფიქრებს, რა თქმა უნდა, ვერ წაიკითხავს, მაგრამ მუშაობის პროცესში აუცილებლად მიხვდება, ვინ რას აკეთებს. ფეხბურთელობისას ფრანკი მზად იყო მთელი გუნდის პასუხისმგებლობა საკუთარი მხრებით ეტვირთა. მერწმუნეთ, ასეთი ალტრუისტები იმ დროში ფაქტობრივად არ არსებობდნენ. მასთან მუშაობა განუზომელ სიამოვნებას მანიჭებდა. ვიცოდი, რომ რიიკაარდი არასოდეს მიღალატებდა. არასოდეს დაარღვევდა დისციპლინას და ვარჯიშზე ერთი წამითაც არ დააგვიანებდა. ამ კაცს ფეხბურთი სიცოცხლეზე მეტად უყვარს და უბრალოდ ვერ შეძლებს, რომ რაიმე ისე არ გააკეთოს, როგორც საჭიროა. ჩემი აზრით, ფეხბურთელი რიიკაარდი, მწვრთნელი რიიკაარდისგან დიდად არაფრით განსხვავდება. ორივე ამპლუაში გენიალური და განუმეორებელია.

**- ამბობენ, რიიკაარდი ფსიქოლოგი უფროა, ვიდრე მწვრთნელიო. იზიარებთ ამ მოსაზრებას?**

- რა თქმა უნდა, არა. ფრანკი პირველ რიგში საუცხოო საფეხბურთო სპეციალისტია. ისე კი მინდა მოგახსენოთ, რომ მწვრთნელი ფსიქოლოგიურ სამუშაოს ვერ ასცდება. თუ რიიკაარდი ჩინებული ფსიქოლოგია, ეს მას კიდევ უფრო კარგად ახასიათებს. საფეხბურთო გუნდი მიკროსოციალური ჯგუფია. ცხადია, ვერავინ დაუშვებს, რომ მისი ცხოვრება ანარქიული ღირებულებებით წარიმართოს. ამ შემთხვევაში აუცილებლად წამოტივტივდება მოთამაშეების ეგო, რაც გარდაუვლად შექმნის პრობლემას. ამიტომ, გუნდი მწვრთნელმა უნდა მართოს. ამ პროცესში კი მას ფსიქოლოოგიის გარდა დიდაქტიკოსობაც დასჭირდება. მწვრთნელმა შეგირდებს კოლექტიური თამაში უნდა ასწავლოს. უნდა დაარწმუნოს, რომ საკუთარი ეგოს წინა პლანზე წამოწევით პირველ რიგში თავადვე დაზარალდება, რადგან ფეხბურთი გუნდური თამაშია და მარტო კაცი ვერაფერს მიაღწევს.

**- "მილანის" ლეგენდარულმა ჰოლანდიელებმა სამწვრთნელო კარიერაში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. გულიტი ეგრეთ წოდებული სექსუალური ფეხბურთის ფუძემდებლად მოინათლა. ვან ბასტენს კრუიფის სკოლის მიმდევრად მიიჩნევენ. რიიკაარდი თქვენი სტილის თაყვანისმცემელი და დამფასებელია?**

- ვგონებ, სჯობს, თავად მას ჰკითხოთ. მილანელი ჰოლანდიელები უდიადესი ფეხბურთელები იყვნენ. ახლა კი ჩინებული სამწვრთნელო კარიერა აქვთ. არ ვიცი, რამდენად მართებული იქნება იმის თქმა, რომ ჰოლანდიურმა სკოლამ არიგო საკის სკოლა გაიარა. მართლაც ძნელია ამაზე საუბარი. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ გულიტის, ვან ბასტენისა და რიიკაარდის ტრიოსთან მუშაობით წარმოუდგენლად გამიმართლა. საერთო ძალისხმევით ჩემპიონთა თასის ფინალში სამჯერ გავედით და ორჯერ გავიმარჯვეთ. ვფიქრობ, ეს არ არის ცუდი შედეგი. პირიქით, შესაძლოა, ისტორიულიც კი იყოს.

**- რიიკაარდი ფეხბურთელობის დროსაც ისეთივე თავმდაბალი იყო, როგორც ახლა?**

- დიახ. როცა "მილანში" ჩამოვიყვანეთ, მითხრა, "როსონერის" თამაშს არ ვიცნობო. ფირი ჩავურთე და რეაქციას დავაკვირდი. შეშფოთებულმა მომახსენა, ვწუხვარ, მაგრამ მე აქ ვერ ვითამაშებ. მილანელები ჩემზე ბევრად ძლიერები არიან და თქვენს მოთხოვნებს ვერ დავაკმაყოფილებო. სხვათა შორის, სილვიო ბერლუსკონის ფრანკის შეძენა არ სურდა, მაგრამ მე ის დავარწმუნე, რომ ტრანსფერის გაჩარხვის შემთხვევაში პლანეტის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს ჩავიგდებდით ხელში. თავად რიიკაარდსაც ეს ვუთხარი, "სან სიროზე" პლანეტის ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავი



არიგო საკი

გახდები-მეთქი. კარგად მახსოვს, მორცხვად დახარა თავი და ტუჩის კუთხეში მორიდებით გაიღიმა. როგორც შემდგომ გამოჩნდა, მართალი ვიყავი (იცინის). მიხარია, რომ ფრანკს მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში შესვლაში დავეხმარე.

**- რამდენადაც ვხვდები, "ბარსელონის" მწვრთნელთან იმთავითვე კარგი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდათ...**

- დიახ, ჩვენ თავიდანვე დავმეგობრდით. ფრანკის საფეხბურთო შესაძლებლობებზე უკვე ვრცლად მოგახსენეთ. ის მართლაც გენიოსი იყო, მაგრამ ამ ადამიანში, პირველ ყოვლისა, პიროვნულ ღირსებებს ვაფასებდი. რიიკაარდი არაჩვეულებრივი ბიჭი იყო. გაცილებით იოლია ფეხბურთის თამაში ისწავლო. აი, კაცობასა და ადამიანობას კი ვერ ისწავლი.

**- შესაძლებელია, ერთ მშვენიერ დღეს "მილანში" რიიკაარდისა და საკის ტანდემი ვიხილოთ?**

- ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ისე კი უფრო რეალურია, რომ...

**- რატომ არ დაასრულეთ? გთხოვთ, დაასრულოთ...**

- (იცინის) მოკლედ, იმის თქმა მსურდა, რომ მე და რიიკაარდი სამოთხეში შევხვდებით ერთმანეთს. აი, ეს არის უფრო რეალური (ხარხარებს).

**- მას შემდეგ რაც სენიორ ფრანკმა "ბარსელონა" ჩაიბარა, თქვენთვის რჩევა ხომ არ უთხოვიია?**

- სანამ "რეალის" გენერალური დირექტორი გავხდებოდი რამდენჯერმა დამირეკა. მითხრა, ერთი ფეხბურთელი მაკლიაო. კონკრეტული რჩევა მივეცი, ანუ გვარი დავუსახელე.

**- როგორ ფიქრობთ, რონალდინიო "მილანში" გადავა?**

- არ ვიცი, სურს თუ არა მას "ბარსას" მიტოვება და "სან სიროზე" გადაბარგება. ისე კი იტალიური ფეხბურთი უწინდებურად ძალისმიერი აღარ არის და სერია A-ში კონკურენტუნარიანი გუნდების რაოდენობაც ერთიორად შემცირდა.

**- თქვენი აზრით, კანავარო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს თუ იმსახურებდა?**

- კანავარო დიდი მცველია, მაგრამ იტალიას მუნდიალზე რომ არ გაემარჯვა, ამ ტიტულს ვერ მოიპოვებდა. დარწმუნებული გახლავართ, თავად ფაბიომაც იცის, რომ პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელი არ არის, თუმცა ცხოვრებამ ეს პრესტიჟული წოდება მოუტანა და მასზე უარის თქმა სისულელე იქნებოდა.

**- ლეო მესიზე რას ფიქრობთ?**

- დაუჯერებლად ნიჭიერია. მან უნდა გააცნობიეროს, რომ ფეხბურთი გუნდური სპორტია. ლეომ ბურთითა და უბურთოდ თამაში თანაბრად წარმატებულად უნდა შეძლოს.

**- როგორ გგონიათ, თქვენი მოღვაწეობის დროს სამეფო კლუბს ნიჭიერი ფეხბურთელები და თავდადება აკლდა?**

- "რეალის" ხელმძღვანელობამ მრავალი შეცდომა დაუშვა. ამას გულისტკივილით ვამბობ, რადგან სამეფო კლუბი ძალიან მიყვარს. ფლორენტინომ ბევრი კარგი რამ გააკეთა, მაგრამ შეცდომებიც უხვად დაუშვა. მანამ "ბარსელონა" კრიზისში იყო, მადრიდელები ინდივიდუალისტების წყალობით ახერხებდნენ გაჩემპიონებას. კატალონიური გრანდის გამოცოცხლების შემდეგ კი მადრიდელთა პრობლემები ყველასთვის თვალშისაცემი გახდა.

**- ფლორენტინო მწვრთნელის საქმეებში ერეოდა?**

- ვერ გეტყვით. მე გენერალური დირექტორი ვიყავი და არა მწვრთნელი. გულწრფელად გეტყვით, რომ ამ თემაზე საუბარი არ მსურს.

**- კაპელოს მუშაობას როგორღა აფასებთ?**

- ფაბიო უაღრესად კვალიფიციური სპეციალისტია, მაგრამ კვლავაც მჯერა, რომ ის "რეალის" მწვრთნელი არ უნდა გამხდარიყო. სამეფო კლუბის დამრიგებელს პოეტურობა და რომანტიზმი უნდა ჰქონდეს. კაპელოს კი ეს თვისებები არ გააჩნია.

**ილია ნიკოლაიშვილი**

გამოხმაურება

## კაპელომ საკის პასუხი გასცა

**ფაბიო კაპელო არიგოს საკის მიერ "დიარიო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუს გამოეხმაურა. "რეალის" ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა სამეფო კლუბის ამჟამინდელი დამრიგებელი საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა. სინიორ საკიმ განაცხადა, კაპელოს პოეტურობა და რომანტიზმი არ გააჩნია იმისთვის, რომ მადრიდულ გრანდს უხელმძღვანელოსო. ბუნებრივია, ბატონი ფაბიო ამ გამოხდომას უპასუხოდ არ დატოვებდა. აი, რა განაცხადა მან: *"საკი? ეს რომელია, რეალობის შეგრძნება რომ დაკარგა და სისულელეებს როშავს? სჯობს, არიგომ არა ფეხბურთზე, არამედ სწორედ პოეზიაზე ისაუბროს."***

მოსალოდნელი გარიგება

# ლივორნო იყიდება

## პრეზიდენტი სპინელი ფეხბურთით დაიღალა და მიდის

"ლივორნოს" პრეზიდენტმა **ალდო სპინელიმ** გამოაცხადა, რომ კლუბიდან მიდის და ახალ მეპატრონეს ეძებს. *"წინსვლის გასაგრძელებლად, ამ გუნდს ენთუზიაზმი სჭირდება. ამ მომენტისთვის მოლაპარაკება არავისთან დაგვიწყია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ქალაქის მერი და ადგილობრივი ბიზნესმენები იმ ხალხის პოვნაში დამეხმარებიან, ვინც ჩემს საქმეს გააგრძელებს"* – თქვა იმპულსური ხასიათით ცნობილმა მეპატრონემ, რომელმაც ცოტა ხნის წინ მწვრთნელი **დანიელე არიგონი** დაითხოვა და გუნდი **ორსის** ჩააბარა.

სპინელი ფეხბურთში მრავალი წელია მოღვაწეობს. 1985-დან 1998 წლამდე ის "ჯენოას" პრეზიდენტი იყო. ამ 13 წელიწადში გენუური გუნდმა სერია B-დან დაიწყო და უეფას თასის ნახევარფინალამდე მიაღწია. "ლივორნო" სპინელიმ 1999 წლის მარტში შეიძინა, როცა გუნდი სერია C1-ში გამოდიოდა. მისი ხელმძღვანლობით "ამარანტო" 1949 წლის შემდეგ პირველად დაუბრუნდა სერია A-ს.

თუმცა მძიმე ხასიათის გამო პრეზიდენტს ხშირად ჰქონდა კონფლიქტები მწვრთნელებთან, ფეხბურთელებთან და ასევე ტიფოზებთან. ორი წლის წინათ **რობერტო დონადონი** სენსაციურად დაითხოვა თანამდებობიდან. ეს შუა სეზონში მოხდა, როცა "ლივორნო" პირველ ექვსეულში იყო, სეზონის ბოლოს კი მე-11 ადგილზე აღმოჩნდა. სხვათა შორის, სპინელიმ თვეების შემდეგ აღიარა, რომ დონადონის გაშვება შეცდომა იყო. წელს არიგონი გააგდო, მაგრამ საქმეში ფეხბურთელები ჩაერიენ და ორ დღეში მეპატრონეს მწვრთნელი პოსტზე დააბრუნებინეს. თუმცა, ეტყობა, არიგონი განწირული იყო და აი, ორი კვირის წინ, უდინეში 0:4-ზე წაგების შემდეგ სპინელიმ მწვრთნელი საბოლოოდ გააგდო.

ამხანაგური მატჩი

# ბრაზილია ერთი გოლით

ბრაზილიამ შვედეთში კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა. სამშაბათს მისი მეტოქე განის ნაკრები იყო. შეხვედრა მინიმალური ანგარიშით დასრულდა. პენტაკამპეონთაგან ერთადერთი გოლი მოსკოვის ცსკა-ს თავდამსხმელმა **ვაგნერ ლავმა** მე-17 წუთზე შეაგდო. საგოლე იერიშში **რონალდინიომ** და **კაკამაც** მიიღეს მონაწილეობა - ბარსელონელმა კუთხური მოაწოდა, მილანელმა კი ბურთი თავით მოსკოველ ფორვარდს დაუგდო. განელებმა ბოლო 11 წუთი ათი კაცის შემადგენლობით ჩაატარეს. ორი ყვითელი ბარათის გამო, შვედმა არბიტრმა **ფრიოდფელტმა ჰამინუ დრამანი** გააძევა. ეს გუნდები შარშანდელი მუნდიალის მერვედფინალშიც შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ ბრაზილიელებმა სამი უპასუხო გოლი გაიტანეს. იმასაც შეგახსენებთ, რომ შეხვედრას სტოკჰოლმის იმ სტადიონმა უმასპინძლა, სადაც ბრაზილიამ 1958 წელს პირველად მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. დასასრულს, ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობა: *ჟულიო სეზარი, ილსინიო (60. დანიელ ალვეში/81. დუდუ), ლუსიო, ჟუანი, კლებერი, მინეირო, ჟილბერტო სილვა (46. ჟოსუე), რონალდინიო, კაკა (70. ელანო), რობინიო (77. დიეგო), ვაგნერ ლავი (74. რიკარდო ოლივეირა).*

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ ბაადურ ჯობავასთან

# ქულა, რეიტინგი, ფული, არაფერი არაა, მე მხოლოდ ჭადრაკს ვთამაშობ

**ბაადურ ჯობავა დღეისთვის საქართველოს პირველი მოჭადრაკეა - რეიტინგი უმაღლესი აქვს და ცხადია, ახლადდასრულებულ საქართველოს ჩემპიონატზე ჩემპიონობის უმთავრესი ფავორიტიც იყო. ჯობავამ კლასი დაამტკიცა და ტიტული არავის დაანება. ასეთი წარმატება მისთვის მეორეა, - პირველად ოთხი წლის წინ, 2003 წელს გახდა ჩემპიონი, მას შემდეგ კი აღარ უთამაშია საქართველოს პირველობაზე. წლეულს რითი იყო განპირობებული მისი გადაწყვეტილება, ებრძოლა ქართული ტიტულისთვის, პირველ კითხვად გვეწერა.**



ბაადურ ჯობავა

- მოტივაცია მრავალი მქონდა: უკვე რეიტინგით პირველი ვარ საქართველოში და მსურდა, ჩემი პირველობის დამტკიცება. ამას გარდა, ევროპის ჩემპიონატის წინ კარგი რეპეტიციაც გამომივიდოდა. ტურნირმაც ძალიან ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი - მხოლოდ ზურაბ აზმაიფარაშვილი და ზვიად იზორია არ თამაშობდნენ. როგორც ვიცი, წლევანდელი შემადგენლობა უპრეცედენტოდ ძლიერი იყო.

**- ფინანსური მხარისთვის არანაირი მნიშვნელობა არ მიგინიჭებიათ?**

- ფინანსები მნიშვნელოვანია, მაგრამ არა - გადამწყვეტი, მე უფრო მეორეხარისხოვანს ვიტყოდი. კარგია, რომ პრიზიორები ევროპის ჩემპიონატზე სრულად ფინანსდებიან, მაგრამ ჩემთვის მთავარი სპორტული მხარე იყო, - რომც ვერ გავსულიყავი პრიზიორებში, ევროპაზე მაინც მივდიოდი. როგორც იცით, მე მსოფლიო ჩემპიონატის საგზური არ მაქვს და დრეზდენში მისი მოპოვების ბოლო შანსი მეძლევა.

**- ცხადია, ჩემპიონობას ფიქრობდით, მაგრამ დარწმუნებით მაინც ვერ იტყოდით, რომ პირველი გახდებოდით; თუმცა დიდი სხვაობით კი გაასწარით მეტოქეებს. იოლად გაიმარჯვეთ?**

- რა თქმა უნდა, იოლად არ მომიგია. გითხარით, თითქმის ყველა უძლიერესი ქართველი მოჭადრაკე თამაშობდა და ყოველი ქულისთვის ძალთა სრული ხარჯვა მიწევდა. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ქართული ჭადრაკის საერთო დონეს დიდად არ მოუმატებია. ბიჭები ერთ ადგილზე არიან გაჩერებულნი, ზოგი კი შედარებით უარესად თამაშობს. ასეთი ფაქტი ქართული ხასიათის - სიზარმაცის ბრალია. თანამედროვე ჭადრაკში სადებიუტო მომზადება უმთავრესია და თუ კარგად არ მოემზადე, შედეგი გექნება. სიზარმაცე მეც მახასიათებს და ვცდილობ, ვებრძოლო ამ სენს.

სხვათა შორის, სადებიუტო მოუმზადებლობის ბრალია, რომ ჩემპიონატში შავებმა უფრო მეტი პარტია მოიგეს, ვიდრე თეთრებმა. მეც, ყველა, ხუთივე პარტია მოვიგე, მაგრამ თეთრებით ექვსიდან მხოლოდ ორში ვიმარჯვე. ამავე მიზეზით ვერ აჯობეს ახალგაზრდებმა გია გიორგაძეს - გია გამოცდილი და კლასიანი დიდოსტატია, კასპაროვის მწვრთნელიც კი ყოფილა, მას იოლად ვერ მოერევი - დებიუტში უნდა მიიღო უპირატესობა და შემდეგ ეცადო ბოლომდე მიყვანას.

**- კი, მაგრამ დებიუტის არცოდნით როგორ შეიძლება შავებმა უფრო მეტი პარტია მოიგონ - სწორედ სადებიუტო მიგნებებით არ ცდილობენ შავები უპირველეს, პოზიციის გათანაბრების პრობლემის გადაჭრას?**

- ასეა, მაგრამ რახან ინიციატივა თავიდან თეთრებისაა, შავები ფრთხილ და ჩასაფრებულ თამაშს ირჩევენ, არ რისკავენ და იქით ცდილობენ მეტოქეს პროვოცირება გაუკეთონ. როცა თეთრებით დებიუტს კარგად ვერ გაითამაშებ, ფსიქოლოგიურად მაინც მოგებაზე მიდიხარ და ამ დროს კარგავ უპირატესობას.

**- სიზარმაცეზე საუბრობდით..**

- ზარმაცი არ ვარ, მაგრამ დროდადრო ჭადრაკი მბეზრდება და დანახვაც არ მინდა. ეს ისეთივე რამ არის, ნებისმიერ სხვა სფეროში რომ შეიძლება მოუვიდეს ადამიანს. შეუსვენებლივ ბევრი თამაში არ ვარგა. ზომიერება უნდა დაიცვა და იმ დროს უნდა ითამაშო, როცა "მადა" მოგივა. საქართველოს ჩემპიონატზე "მადა" ნამდვილად მქონდა და ეს ძლიერ დამეხმარა.

**- გასული წლის ზაფხულიდან, როცა დორტმუნდის სუპერტურნირში ითამაშეთ, საქართველოს ჩემპიონატი მხოლოდ მესამე ტურნირი იყო. თქვენი დონის მოჭადრაკისთვის ცოტა არ არის?**

- ამ ეტაპზე ჩემი დონის დიდოსტატისთვის უფრო მნიშვნელოვანი ინტენსიური მზადებაა, ვიდრე თამაში. იდეები, სიახლეები უნდა ეძებო, დაამუშაო და ამ მარაგით წარდგე მეტოქეთა წინაშე. მაღალ დონეზე მოუმზადებელი ვერაფერს მიაღწევ და ამიტომ დრო ამ მიმართულებით მაქსიმალურად უნდა გამოიყენო. ჩემი აზრით, ბევრი თამაში ნერვებს აფუჭებს. თუმცა ზოგს პირიქით მიაჩნია და სასურველ ფორმაში თამაშ-თამაშით შედის.

**- ტურნირებისგან თავისუფალ დროს საქართველოში ემზადებით?**

- რა თქმა უნდა, ამ დროს თბილისში ვარ და შინ ვემზადები. სხვათა შორის, დავრწმუნდი იმაში, რომ აუცილებელია მწვრთნელი მყავდეს გვერდით და ერთად ვიმუშაოთ. ჭადრაკში ყოველდღიურად იმდენი სიახლე ჩნდება, რომ ყველაფერს ერთი კაცი ვერც მოიპოვებს და ვერც დაიმახსოვრებს. მწვრთნელი კი, რომელიც უფრო კონსულტანტია, ვიდრე მწვრთნელი კლასიკური გაგებით, ინფორმაციის მოპოვება-დამუშავებაში დამეხმარება. სამწუხაროდ, კარგი დამხმარე ძალიან ძვირი ჯდება...

**- ბაადურ, ჩვენ დაახლოებით ერთი წლის წინ ვისაუბრეთ. მას შემდეგ თქვენს საჭადრაკო ცხოვრებაში ბევრი რამ მოხდა: ითამაშეთ დორტმუნდის სუპერტურნირში; მსოფლიო ჩემპიონმა ვესელინ ტოპალოვმა კონსულტანტად მიგიწვიათ და სხვაც მრავალი. ამ ყველაფერმა თქვენს საჭადრაკო ფილოსოფიაში რამე ცვლილებები ხომ არ შეიტანა?**

- ბევრი რამ შეცვალა და საბედნიეროდ, კარგისკენ. პირველ რიგში აღვნიშნავ ტოპალოვთან თანამშრომლობას. ტოპალოვმა მასწავლა, როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი პროფესიონალი. როგორ უნდა მოემზადო პარტიისთვის და დაფაზე როგორ იმუშაო. აუცილებელია განსაკუთრებული კონცენტრაცია თამაშის დროს - გარდა პარტიისა, არაფერზე უნდა ფიქრობდე. საქართველოს ჩემპიონატში არც ერთ პარტიისას დაფას არ მოვცილებივარ, არც ავმდგარვარ სკამიდან.

გავაუმჯობესე ენდშპილის თამაში და შესაბამისად ტექნიკაც უკეთესი გამიხდა, - ამის ხარჯზე უპირატესობის რეალიზაციამაც მოიმატა. ასევე გავაუმჯობესე დაცვითი თამაში, - ეს კომპონენტი ადრე ჩემი ყველაზე სუსტი წერტილი იყო. ბოლომდე ვირწმუნე უნივერსალიზმის აუცილებლობა და ვცდილობ, მეც უნივერსალი გავხდე. საერთოდ, ყველა დიდი მოჭადრაკე, თანამედროვეც და ადრინდელიც, უნივერსალი იყო.

**- დიდი მოჭადრაკეები ახსენეთ და შარშან, ზაფხულში, დორტმუნდში თანამედროვეობის უდიდეს მოჭადრაკეებთან მოგიხდათ ასპარეზობა. შედეგი ცუდი მიიღეთ - რვა კაცში ბოლო ადგილი. ოსტატობაში განსხვავება იყო დიდი თუ წარუმატებლობის სხვა მიზეზები არსებობდა?**

- საქმე ის გახლავთ, რომ დორტმუნდამდე ჩინეთში ვიყავი ძალიან ძლიერ ტურნირზე. ჩინეთის შემდეგ დორტმუნდი ერთ კვირაში დაიწყო და აშკარად გადაღლილი ვიყავი, - სასაათო სარტყელის ცვლამ დამცადა. ჩინეთში თამაში შეცდომა იყო, მაგრამ იქ იმიტომ წავედი, რომ ჩინელი მოჭადრაკეებისთვის ნათქვამი მქონდა - ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრების 4:0 დამარცხების გამო რევანშს აგიღებთ-თქო. რევანში მართლაც შედგა - ის ტურნირი მოვიგე. სხვათა შორის, ტურნირში ჩინეთის ნაკრების ყველა წევრი იღებდა მონაწილეობას.

დორტმუნდში მაინც შემეძლო უკეთ თამაში, მაგრამ ბორის გილფანდთან კატასტროფულმა მარცხმა გამაფუჭა - რამდენჯერმე საყაიმო სიტუაცია იყო, შემომთავაზა კიდეც მეტოქემ დაზავება, მაგრამ უარი ვუთხარი. გადამწყვეტი შეცდომა ცაიტნოტში მომივიდა. ამან გამტეხა და ველარ ავეწყვე.

კრამნიკს და ელიტის სხვა წევრებს უმაღლესი კლასი რომ აქვთ, ცხადია, მაგრამ იმდენი განსხვავება არ არის, რომ მათი დამარცხება ვერ შევძლო. უბრალოდ, აქაც თავი იჩინა არასათანადო სადებიუტო მომზადებამ და ამ დონეზე თამაშის გამოუცდელობამ.

**- დორტმუნდის შემდეგ "აეროფლოტის" ტურნირზე იყავით, რომელიც თვენახევრის წინ დასრულდა. იქ შარშანდელი ტიტულის დაცვა გიწევდათ და ახლოსაც იყავით მიზანთან, მაგრამ ბოლო ორ ტურში თეთრებით ვერ მოიგეთ...**

- ორივე პარტია თითქმის მოგებული მქონდა და სამწუხაროდ, ვერ დავაბოლოვე ზუსტად. ეტყობა, დაღლილობამ იჩინა თავი, სათამაშო პრაქტიკაც არ მქონდა და ეს ფინიშზე საგრძნობი გახდა. თუმცა მეშვიდე ადგილიც არ არის ცუდი - "აეროფლოტი" ძალიან ძლიერი ტურნირია. ალბათ უფრო ძლიერი ვიდრე დრეზდენში გასამართი ევროპის ჩემპიონატი. მიზეზი მარტივია - "აეროფლოტზე" ტურნირები სიძლიერის მიხედვით, რეიტინგებით არის დაყოფილი და საშუალოდ 2600-მდე რეიტინგის მქონე მოჭადრაკეებთან ფაქტობრივად წრიულ ტურნირს თამაშობს. ეს ძალიან დიდი დატვირთვაა და ამიტომაც არის, რომ "აეროფლოტი" ჯერ ორჯერ არავის მოუგია.

**- ევროპის ჩემპიონატზეც გკითხავთ: გარდა იმისა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის საგზური გსურთ, რა შედეგს უმიზნებთ?**

- კონკრეტულ შედეგზე არ ვფიქრობ. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ქულებისა და რეიტინგების თვლა არ არის საჭირო, - ჭადრაკი უნდა ითამაშო და სხვა არაფერზე უნდა იფიქრო. ჩემთვის მიუღებელია, როცა რეიტინგის გამო მოჭადრაკეები ყაიმს თამაშობენ ან ცდილობენ არ წააგონ; სტრატეგიასაც რალაც ამდაგვარი მიზნებით აგებენ. ეს ან კლასის ნაკლებობას ნიშნავს, ანაც მეტოქის შიშს. მეტოქის შიში კიდევ უფრო მეტად მიუღებელია - ვინც არ უნდა იჯდეს შენ წინ, აინუნშიც არ უნდა ჩააგდო, - ჭადრაკს ფიგურების წინააღმდეგ თამაშობ და თუ რამე შეგიძლია, დაფაზე დაამტკიცებ. ასეთივე განწყობით ვითამაშე საქართველოს ჩემპიონატში და ასევე ვაპირებ ევროპის ჩემპიონატზეც. მაგალითად, დავით არუთინიანთან ჩემი პარტიაც გამოდგება: ქულანახევარით ვუსწრებდი და თეთრებით ვხვდებოდი. საკმარისი იყო, არ გამერისკა, მშვიდი დებიუტი ამერჩია და ყაიმი იოლად გამეკეთებინა - ბოლოს და ბოლოს, შევთავაზებდი ყაიმს მეტქეს და არა მგონია, არ დათანხმებულიყო, - მართალია მე ჩემპიონობას ვინაღდებდი, არუთინიანი კი მეორე ადგილისთვის ძალიან კარგ შანსებს ინარჩუნებდა. ჩემი პრინციპების წინააღმდეგ ვერ წავედი და ჩვეულად ვითამაშე. მართალია წავაგე, მაგრამ მიზეზი დებიუტის ცუდად გათამაშებაში და მეტოქის ძალიან კარგ გარჯაში იყო, - დავითმა აბსოლუტურად დამსახურებულად მოიგო. დავითზე ერთსაც გეტყვით - ის ერთადერთია ქართველ მოჭადრაკეებში, რომელმაც ძალიან მოუმატა თამაშს - მისი ზრდა აშკარაა და საკმაოდ ძლიერ და სტაბილურ მოჭადრაკედ იქცა. ალბათ კიდევ მოუმატებს და ამით საქართველოს ნაკრებს ბევრად დაეხმარება.

**- იმედია, ევროპის ჩემპიონატზე კარგად ითამაშებთ და საგზურთან ერთად რომელიმე სინჯის მედალს მოიპოვებთ, ეგებ, მეორე ქართველიც კი გახდეთ, ევროპის ჩემპიონობას რომ შესწვდება...**

- სურვილი დიდი მაქვს, მაგრამ, როგორც გითხარით, წინასწარ არაფერს ვგეგმავ - ვითამაშებ და რაც გამოვა - გამოვა.

**- ევროპის ჩემპიონატის შემდეგ რა გეგმები გაქვთ?**

- კონკრეტული გეგმა არ გამაჩნია - ისეთი დროა, ტურნირები არ იმართება და არ ვიცი, რას ვიზამ. შესაძლოა, სოჭში რუსეთის საკლუბო ლიგაში ვითამაშო - ერთ-ერთი რუსული კლუბის მესვეურები შემეხმიანნენ და თუკი კვლავ დამიდასტურეს თანამშრომლობის სურვილი, გავემგზავრები რუსეთში. რუსული ლიგა ძალიან ძლიერი ტურნირია - უძლიერეს რუს მოჭადრაკეებთან ერთად მსოფლიო ჭადრაკის ვარსკვლავებიც თამაშობენ. ცხადია, ჩემთვის ასეთი შემოთავაზება კარგი შანსია.

**- დაბოლოს, გაისად თუ ითამაშებთ საქართველოს ჩემპიონატში?**

- გადაჭრით ვერც უარს ვიტყვი და ვერც დასტურს. საქართველოს ჩემპიონობა ჩემთვის დიდი პატივი და სიხარულია და ამიტომ უარს არასდროს ვამბობ, თუმცა ჩემპიონატი რანგით უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის უმთავრეს ტურნირს და მონაწილეებმაც დაფასებულად უნდა იგრძნონ თავი.

**ზვიად შათირიშვილი**

## თარიღი



გივი კარტოზია

**28 მარტი, 1929 - დაიბადა გივი კარტოზია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), 1956 წლის მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და 1960 რომის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1953, 55, 58), მსოფლიოს თასის მფლობელი (1956), სტუდენტთა მსოფლიო თამაშებში გამარჯვებული (1951), სსრკ ოთხგზის ჩემპიონი (1952-55). ქართველ სპორტსმენთაგან პირველმა მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი (ვერცხლის პრიზი). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების, ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხისა და ფილას ორდენების კავალერი. გარდაიცვალა 1998 წელს.**

**29 მარტი, 1974 - დაიბადა იოსებ ახალბედაშვილი (სამბო). მსოფლიო ჩემპიონი (1997) და ორგზის მესამე პრიზიორი (1994, 98), ევროპის ჩემპიონი (1998) და სამგზის მესამე პრიზიორი (1995, 97, 99). ღირსების მედლის კავალერი.**

**29 მარტი, 1925 - დაიბადა დავით ციმაკურიძე (თავისუფალი ჭიდაობა), პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი (1952, ჰელსინკი). სსრკ შვიდგზის ჩემპიონი (1945, 46, 47, 49, 50, 51, 52), მეორე (1954) და მესამე (1948) პრიზიორი. სსრკ ჩემპიონატების ორგზის მეორე პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (1947, 48). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრკ და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. ფილას, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი. გარდაიცვალა 2006 წელს.**

**29 მარტი, 1915 - დაიბადა არჩილ კიკნაძე (ფეხბურთი. "დინამო" თბილისი). სპორტის დამსახურებული ოსტატი. 1939, 1940 წ. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების II, ხოლო 1946, 1947 წ. III პრიზიორი. უმაღლეს ლიგაში ნათამაშები აქვს - 150 მატჩი. გარდაიცვალა 1967 წელს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ლეგიონერები

# ადრიატიკაში ჩაყვინთა, სლოვენიაში ამოყვინთა

მიუხედავად იმისა, რომ მანუჩარ მარკოიშვილმა 2002-03 წლების სეზონში ევროლიგის ფინალში ითამაშა, ხოლო 2003-04 წლებში ფიბას თასი მოიგო, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისთვის მიმდინარე სეზონი საუკეთესო იყო. მანუს "ოლიმპიამ" ვერც ევროლიგაზე მიაღწია წარმატებას (პირველივე ჯგუფური რაუნდიდან გამოვარდა) და ვერც ადრიატიკის თასის ფლეი ოფში გააღწია, მაგრამ დღეს ეს მეორეხარისხოვანია. მთავარია, რომ მარკოიშვილმა "ოლიმპიაში" ფეხი მყარად მოიკიდა და გუნდის ლიდერად იქცა. გვერდით მდებარე ცხრილებშიც შეგიძლიათ გაეცნოთ ჩვენიანის საერთო მონაგარს და დარწმუნდეთ, რომ დაუღალავი შრომა ყოველწლიური პროგრესის გარანტია. ეს გახლავთ ევროტურნირების მიმოხილვის ექვსწლიანი ციკლის პირველი ნაწილი. შემდეგ ვისაუბრებთ ვატო ნაცვლიშვილის, გიორგი ცინცაძის, ვიქტორ სანიკიძისა და ვლადიმერ ბოისას ევროთამაშებზე.

## ერთი სეზონის ორი ეტაპი

ამ სეზონში "ოლიმპიასა" და **მარკოიშვილის** გამოსვლა ორ განსხვავებულ ეტაპად იყოფა. პირველი ოქტომბერ-იანვარს მოიცავს, ხოლო მეორე - თებერვლიდან დღემდე...

პირველ ეტაპზე თუკი "ოლიმპია" ორივე შემთხვევაში თანაბრად თამაშობდა - სამში ორ მატჩს აგებდა, მანუჩარისთვის გაცილებით ნაყოფიერი თებერვალი-მარტი გამოდგა. თუკი იანვრის ბოლოს მის დღიურებს ეცნობოდით, ამის მიზეზის გარკვევაც არ გაგიჭირდებათ: შუა სეზონში კაპიტანმა **მარკო მილიჩმა** "ოლიმპია" მადრიდის "რეალზე" გაცვალა. *"მარკო ჩვენი გუნდის ძრავა იყო. თამაში მასზე ეწყობოდა და ისიც მწვრთნელს იმედებს არ უცრუებდა. მის გარეშე ძალიან გაგვიჭირდება"*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა კაპიტნის ესპანეთში წასვლას მარკოიშვილმა.

მალე მილიჩს თურქი **ენდერ არსლანი** მიჰყვა, რომელმაც მეორე პირენეულ გრანდს ბასკურ "ტაუს" მიაშურა. ხოლო მესამე ლიდერის, **ტეემუ რანიკოს** ისრაელის "მაკაბიში" გადასვლას ალარაფერი უკლდა, როცა "ოლიმპიას" ხელმძღვანელებმა საჭირო თანხა გამონახეს და სეზონის ბოლომდე შეინარჩუნეს. არადა, ფინელი ტეემუ სწორედ ხელფასის მიუღებლობის გამო აპირებდა (ამის უფლებაც ჰქონდა) კონტრაქტის შეწყვეტას.

არსლანი ჯერ კიდევ "ოლიმპიაში" იყო, როცა მთავარმა მწვრთნელმა **გასპერ ოკორნმა** "პარტიზანთან" მატჩის წინ შეგირდებს ასე მიმართა: *"მარკო მილიჩის გარეშე მოგება იოლი არ იქნება, მაგრამ რანიკოს ცივსისხლიანობის, არსლანის ტემპერამენტისა და მანუს დაცვის იმედი მაქვსო.*

სწორედ მაშინ დაიწყო ახალი ეტაპი მარკოიშვილის კარიერაში - "ოლიმპიაში" თურქთან (რომელმაც გუნდი მალევე დატოვა) და ფინელთან ერთად ლიდერად იქცა. ეს მხოლოდ დაცვაზე როდი აისახა - მანუმ "პარტიზანთან" თამამად ისროლა, 19 ქულა ჩააგდო და დარჩენილ მატჩებში 13 ქულას არ ჩამოსცილებია.



მანუჩარ მარკოიშვილი

მისი და რანიკოს წყალობით სლოვენიელებმა ერთი-ორი შეხვედრა ეფექტურადაც მოიგეს, თელავივის "მაკაბიც" დაამარცხეს, ესპანეთის "უნიკახაც" და ხორვატიის "ციბონაც", მაგრამ ლოკალური გამონათება არც ადრიატიკის ლიგის სატურნირო ცხრილზე აისახა და არც ევროლიგაზე.

## მაღალი ტრაექტორია

მანუჩარ მარკოიშვილის კარგი გარჯა მხედველობიდან არ გამორჩენიათ ამერიკელ სკაუტებს, რომლებიც საკუთარი კლუბების პარალელურად პრესასთანაც თანამშრომლობენ. ინტერნეტ-გამოცემა "დრაფტექსპრესში" შუა სეზონში დაიბეჭდა მიმოხილვა სახელწოდებით "ადრიატიკის მარგალიტები". ადრიატიკის თასზე მოასპარეზე ხუთ პერსპექტიულ კალათბურთელს შორის მანუჩარ მარკოიშვილიც იყო. აი, რას ამბობდა ჩვენიანის შესახებ ერთ-ერთი სკაუტი:

*"სლოვენიური კლუბის, "ოლიმპიას" მწვრთნელი გასპერ ოკორნი დაცვას დიდ ყურადღებას უთმობს. ამ კომპონენტში მთავარ იარაღად ქართველი მანუჩარ მარკოიშვილი ჰყავს, რომელსაც მეტოქე გუნდის მთავარ სნაიპერს აბარებს. ცენტრის გარდა, მარკოიშვილს ნებისმიერი ამპლუის მოთამაშის შეჩერება შეუძლია. თუმცა მისი პლუსი მხოლოდ დაცვა როდია - ბევრი დამცველისგან განსხვავებით სროლის სიზუსტითაც გამოირჩევა. მისი ნატყორცნის დაბლოკვა (დაფარება) თითქმის შეუძლებელია, რადგან ბურთს მაღალ ტრაექტორიას აძლევს. მანუჩარი NBA-ში რას იზამს, ძნელი სათქმელია. თუმცა თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ იგი ევროპის ტოპ-კალათბურთელად ყალიბდება."*

## რა დარჩა?

"ოლიმპია" ადრიატიკის ლიგის გათამაშებიდანაც გამოეთიშა და ევროლიგიდანაც. რა დარჩა? - არანაკლებ მნიშვნელოვანი სლოვენიის ჩემპიონატი, რომლის შარშანდელ ფინალში "ოლიმპიამ" "სლოვანი" 3:2 დაამარცხა. საინტერესო ფაქტსაც შეგახსენებთ - ოლიმპიელებმა სამივე მატჩი სტუმრად მოიგეს...

სლოვენიის პირველობის ჯგუფური ეტაპი 28 მარტს დაიწყება და 12 მაისს დასრულდება. ამას მოჰყვება ფლეი ოფი და იმედი დავიტოვოთ, რომ მანუ მარკოიშვილი სლოვენიის ჩემპიონატს მესამედაც მოიგებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

### ევროლიგა 2006-2007

ოლიმპია

| თამაში | წთ | ქ | 2ქ | 3 ქ | 1 ქ | მ | პ | ჩ | დ | შ | ფ | მქკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ციბონა-ოლიმპია 77:61 | 16 | 2 | 1/1 | 0/3 | 0/0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 4 | -4 |
| ოლიმპია-რომა 83:73 | 23 | 7 | 3/6 | 0/2 | 1/2 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | 0 |
| ოლიმპია-პანათინაიკოსი 65:86 | 37 | 12 | 2/6 | 2/4 | 2/2 | 4 | 1 | 1 | 0 | 2 | 3 | 13 |
| უნიკახა-ოლიმპია 62:55 | 31 | 9 | 3/6 | 1/5 | 0/0 | 6 | 2 | 0 | 0 | 1 | 5 | 5 |
| ოლიმპია-პარტიზანი 70:71 | 36 | 12 | 6/7 | 0/2 | 0/0 | 2 | 1 | 3 | 0 | 2 | 2 | 11 |
| მაკაბი-ოლიმპია 110:87 | 31 | 10 | 4/8 | 0/7 | 2/4 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3 | 4 |
| ოლიმპია-ხუვენტუდი 67:69 | 35 | 12 | 2/3 | 1/6 | 5/7 | 1 | 2 | 4 | 0 | 1 | 3 | 14 |
| ოლიმპია-ციბონა 92:88 | 37 | 16 | 4/8 | 1/5 | 5/5 | 6 | 1 | 1 | 0 | 3 | 4 | 12 |
| რომა-ოლიმპია 84:74 | 19 | 0 | 0/1 | 0/1 | 0/0 | 3 | 0 | 1 | 0 | 1 | 4 | -1 |
| პანათინაიკოსი-ოლიმპია 83:74 | 34 | 14 | 2/5 | 3/5 | 1/2 | 3 | 0 | 2 | 0 | 0 | 4 | 14 |
| ოლიმპია-უნიკახა 87:59 19 | 5 | 2/5 | 0/0 | 1/2 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 5 | 0 | |
| პარტიზანი-ოლიმპია 106:60 | 38 | 19 | 5/8 | 3/5 | 0/0 | 4 | 4 | 4 | 0 | 3 | 5 | 20 |
| ოლიმპია-მაკაბი 77:75 | 36 | 13 | 3/7 | 2/4 | 1/1 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 4 | 10 |
| ხუვენტუდი-ოლიმპია 82:86 | 37 | 17 | 3/6 | 3/5 | 2/4 | 2 | 3 | 2 | 0 | 3 | 5 | 14 |
| **ჯამი** | **429** | **148** | **40/77** | **16/54** | **20/29** | **41** | **20** | **20** | **0** | **20** | **53** | **112** |
| **საშუალო** | **31** | **10.6** | **51.9%** | **29.6%** | **68.9%** | **2.9** | **1.4** | **1.4** | **0** | **1.4** | **3.8** | **8** |

### ევროლიგა 2005-2006

ოლიმპია

| | თ | წთ | ქ | 2ქ | 3 ქ | 1 ქ | მ | პ | ჩ | დ | შ | ფ | მქკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯამი | 5 | 116 | 43 | 6/14 | 10/22 | 1/2 | 11 | 4 | 6 | 0 | 11 | 20 | 17 |
| საშუალო | 5 | 23 | 8.6 | 42.9% | 45.5% | 50% | 2.2 | 0.8 | 1.2 | 0 | 2.2 | 4 | 3.4 |

### ევროლიგა 2004-2005

ოლიმპია

| | თ | წთ | ქ | 2ქ | 3 ქ | 1 ქ | მ | პ | ჩ | დ | შ | ფ | მქკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯამი | 8 | 84 | 18 | 4/10 | 0/7 | 10/11 | 11 | 2/2 | 0 | 2 | 20 | 6 | |
| საშუალო | 8 | 11 | 2.3 | 40% | 0% | 90.9% | 1.4 | 0.3 | 0.3 | 0 | 0.3 | 2.5 | 0.8 |

### ევროლიგა 2003-2004

ოლიმპია

| | თ | წთ | ქ | 2ქ | 3 ქ | 1 ქ | მ | პ | ჩ | დ | შ | ფ | მქკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯამი | 6 | 43 | 11 | 0/3 | 3/7 | 2/2 | 4 | 3 | 1 | 0 | 3 | 6 | 6 |
| საშუალო | 6 | 7 | 1.8 | 0% | 42.9% | 100% | 0.7 | 0.5 | 0.2 | 0 | 0.5 | 1 | 1 |

### ევროლიგა 2002-2003

ბენეტონი

| | თ | წთ | ქ | 2ქ | 3 ქ | 1 ქ | მ | პ | ჩ | დ | შ | ფ | მქკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯამი | 17 | 131 | 38 | 12/24 | 4/8 | 2/5 | 15 | 8 | 6 | 0 | 9 | 26 | 16 |
| საშუალო | 17 | 8 | 2.2 | 50% | 50% | 40% | 0.9 | 0.5 | 0.4 | 0 | 0.5 | 1.5 | 0.9 |

### მიღწევები

| | | |
|---|---|---|
| მქკ | 20 | პარტიზანი-ოლიმპია, 17.01.2007 |
| ქულა | 19 | პარტიზანი-ოლიმპია, 17.01.2007 |
| შეტ. მოხსნა | 3 | ტაუ-ოლიმპია, 12.01.2006 |
| დაც. მოხსნა | 5 | ოლიმპია-ციბონა, 14.12.2006 |
| მოხსნა | 6 | ოლიმპია-ციბონა, 14.12.2006 |
| პასი | 5 | ბენეტონი-ვირტუსი, 17.04.2003 |
| ჩაჭრა | 4 | პარტიზანი-ოლიმპია, 17.01.2007 |
| წუთი | 38 | პარტიზანი-ოლიმპია, 17.01.2007 |

### ადრიატიკა

| 2006-2007 | წთ | ქ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | ჩ | დ | შ | ფ | მქკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვანი-ოლიმპია 71:75 | 29 | 11 | 3\4 | 1\2 | 2\3 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 4 | 7 |
| ოლიმპია-ბუდუჩნოსტი 91:85 | 31 | 10 | 2\3 | 2\3 | 0 | 9 | 1 | 1 | 0 | 3 | 4 | 12 |
| პარტიზანი-ოლიმპია 84:70 | 21 | 10 | 2\3 | 2\3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 4 | 5 |
| ოლიმპია-შიროკი 73:67 | 18 | 10 | 2\2 | 2\2 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 3 | 0 | 14 |
| ზადარი-ოლიმპია 84:76 | 20 | 5 | 0\2 | 1\4 | 2\2 | 3 | 2 | 1 | 0 | 0 | 2 | 6 |
| ოლიმპია-ჰემოფარმი 68:73 | 16 | 4 | 0\4 | 0\1 | 4\4 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4 | 3 |
| ციბონა-ოლიმპია 86:83 | 33 | 18 | 4\5 | 2\5 | 4\4 | 2 | 1 | 3 | 0 | 0 | 4 | 19 |
| ბოსნა-ოლიმპია 69:78 | 37 | 4 | 1\3 | 0\5 | 2\4 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1 | 1 |
| ჰელიოსი-ოლიმპია 73:69 | 32 | 7 | 2\4 | 1\3 | 0 | 4 | 0 | 2 | 0 | 2 | 5 | 5 |
| ცრვენა ზვეზდა-ოლიმპია 110:92 | 40 | 27 | 8\13 | 3\8 | 2\2 | 4 | 2 | 2 | 0 | 3 | 4 | 21 |
| ოლიმპია-სპლიტი 85:71 | 21 | 11 | 5\6 | 0\2 | 1\1 | 4 | 2 | 3 | 0 | 2 | 3 | 15 |
| რაბოტნიჩკი-ოლიმპია 112:108 | 36 | 12 | 3\5 | 2\4 | 0 | 3 | 3 | 4 | 0 | 2 | 5 | 15 |
| ოლიმპია-ზაგრები 87:76 | 21 | 2 | 1\4 | 0\2 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 4 | -3 |
| ოლიმპია-სლოვანი 91:70 | 23 | 17 | 5\7 | 1\1 | 4\5 | 1 | 2 | 2 | 0 | 2 | 2 | 19 |
| ბუდუჩნოსტი-ოლიმპია 74:67 | 24 | 10 | 5\7 | 0 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 5 | 8 |
| ოლიმპია-პარტიზანი 76:90 | 23 | 5 | 2\4 | 0\1 | 1\1 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 | 4 | 6 |
| შიროკი-ოლიმპია 98:97 | 20 | 4 | 2\3 | 0\1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 5 | 1 |
| ოლიმპია-ზადარი 89:79 | 35 | 19 | 8\10 | 1\3 | 0\1 | 6 | 2 | 5 | 0 | 4 | 4 | 20 |
| ჰემოფარმი-ოლიმპია 78:76 | 35 | 11 | 4\8 | 1\3 | 0 | 6 | 5 | 0 | 0 | 4 | 2 | 11 |
| ოლიმპია-ციბონა 91:69 | 31 | 13 | 3\7 | 1\4 | 4\4 | 5 | 3 | 1 | 1 | 4 | 4 | 12 |
| ოლიმპია-ბოსნა 93:68 | 26 | 11 | 3\6 | 1\3 | 2\2 | 2 | 5 | 2 | 0 | 1 | 4 | 11 |
| ოლიმპია-ჰელიოსი 59:64 | 38 | 7 | 2\7 | 1\2 | 0 | 7 | 0 | 3 | 1 | 2 | 4 | 9 |
| ოლიმპია-ცრვენა ზვეზდა 88:82 | 36 | 25 | 7\9 | 0\2 | 11\11 | 6 | 0 | 3 | 0 | 2 | 3 | 33 |
| სპლიტი-ოლიმპია 67:91 | 21 | 11 | 3\7 | 1\2 | 2\2 | 3 | 3 | 2 | 0 | 0 | 3 | 12 |
| ოლიმპია-რაბოტნიჩკი 59:77 | 39 | 12 | 5\11 | 0\3 | 2\2 | 4 | 4 | 3 | 0 | 3 | 5 | 10 |
| ზაგრები-ოლიმპია 72:82 | 36 | 8 | 4\6 | 0\2 | 0 | 4 | 2 | 2 | 0 | 1 | 4 | 10 |
| **ჯამი** | **744** | **284** | **86\150** | **23\71** | **43\48** | **88** | **46** | **46** | **3** | **44** | **93** | **282** |
| **საშუალო** | **28.36** | **10.9** | **57.3%** | **32.4%** | **89.6%** | **3.4** | **1.8** | **1.8** | **0.1** | **1.7** | **3.6** | **10.8** |

### ადრიატიკა 2005-2006

| | თ | წთ | ქ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | ჩ | დ | შ | ფ | მქკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯამი | 13 | 299 | 101 | 22\48 | 14\51 | 15\18 | 31 | 18 | 17 | 1 | 11 | 41 | 67 |
| საშუალო | 13 | 23 | 7.8 | 48% | 27.5% | 83.3% | 2.4 | 1.4 | 1.3 | 0.1 | 0.8 | 3.2 | 5.2 |

### ადრიატიკა 2004-2005

| | თ | წთ | ქ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | ჩ | დ | შ | ფ | მქკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯამი | 25 | 380 | 122 | 22\40 | 17\46 | 27\34 | 39 | 16 | 22 | 1 | 21* | 59 | 98 |
| საშუალო | 25 | 15.1 | 4.9 | 55% | 31.2% | 79.4% | 1.6 | 0.5 | 0.6 | 0.1 | 0.8 | 2.4 | 3.9 |

### ფიბას თასი 2003-2004

მიტელდოიჩერი

| თ | წთ | ქ | 2ქ | 3 ქ | 1 ქ | მ | პ | ჩ | დ | შ | ფ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 26.5 | 14.2 | 19/29 | 8/15 | 23/25 | 2.0 | 2.5 | 1.3 | 0.3 | 1.5 | 3.2 |

*შენიშვნა: თ-თამაში; წთ-წუთი; ქ-ქულა; 2ქ-ორქულიანები; 3ქ-სამქულიანები; 1ქ-საჯარიმოები; მ-მოხსნა; პ-პასი; ჩ-ჩაჭრა; დ-დაფარება; შ-შეცდომა; ფ-ფოლი; მქკ-მარგი ქმედების კოეფიციენტი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი

დევისის თასი. სერბეთი-საქართველო

# იმედი არის, შანსი?

## ბელგრადში მეათე ჩოგანი დაგვიხვდება



ნოვაკ ჯოკოვიჩი

6-8 აპრილს სერბეთის დედაქალაქ ბელგრადის გარეუბანი კოვილოვო "დევისის თასის" მატჩს უმასპინძლებს - სერბეთი-საქართველო. ევროპა-აფრიკის I ზონის მეორე რაუნდში გამარჯვების შემთხვევაში ჩვენი ნაკრები მსოფლიო ჯგუფის ფლეი-ოფში გავა, ნაგებით კი არაფერს დაკარგავს, მომავალ წელსაც I ზონის ბინადარი იქნება. კოვილოვოში დახურულ დარბაზში თიხის კორტზე გაიმართება მატჩი, ტრიბუნა 1.5 ათას მაყურებელს იტევს და ის მთლიანად შეივსება, რადან სერბეით ნაკრებში ქვეყნის ახალი გმირი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** ითამაშებს.

კაპიტნებმა, **გელა ელერდაშვილმა** და დეიან პეტროვიჩმა უკვე გადაწყვიტეს, რა შემადგენლობით ითამაშებენ კოვილოვოში. ჩვენების კვარტეტი ასეთია: **ირაკლი ლაბაძე, ლადო ჩიხლაძე, გიორგი ჭანტურია და გიორგი ხრიკაძე**. როგორც ჩანს, ბრძოლის სიმძიმე ისევ ლაბაძე-ჩიხლაძის დუეტზე გადაივლის, რომელმაც საქართველოს ნაკრების ხუტმატჩიანი მოგებათა სერია განაპირობა. ჩვენს გუნდს არ წაუგია 2005 წლის მარტის შემდეგ (ბულგარეთი 1:4). თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ირაკლი ლაბაძემ მარჯვენა მაჯის ოპერაცია გადაიტანა და ორი ხელით თამაში მას არ შეუძლია. ლაბაძემ წლეულს მხოლოდ ორ მატჩში მიიღო მონაწილეობა, ისიც "დევისის თასზე" პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ. 25 წლის ლაბაძე მსოფლიოს 171-ე ჩოგანია, "დევისის თასზე" მას 26-დან 22 მატჩი აქვს მოგებული. 21 წლის ჩიხლაძე მსოფლიოს 467-ე ჩოგანია. "დევისის თასზე" მან 10 მატჩი მოიგო და ამდენივე წააგო. ნაკრების მესამე ნომერი ქვეყნის ჩემპიონი გიორგი ჭანტურია იქნება. 18 წლის ჭანტურია ურეიტინგოა, მან მხოლოდ ერთხელ ითამაშა ამ შეჯიბრებაში (შინ პორტუგალიასთან) და დამარცხდა. გიორგი ხრიკაძეც ანალოგიურ მდგომარეობაშია, 18 წლისაა, ურეიტინგოა და "დევისის თასზე" ერთი წაგებული მატჩი აქვს გამართული.

მასპინძელთა ნაკრები მატჩის აშკარა ფავორიტია. პირველ ნომრად **ნოვაკ ჯოკოვიჩი** ითამაშებს, მსოფლიოს მეათე ჩოგანი, რომელიც ახლა საუკეთესო ფორმაშია. ჯოკოვიჩმა ახლახან ინდიან ველსში ფინალში გააღწია, სადაც **რაფაელ ნადალთან** წააგო. მაიამიში ჯოკოვიჩი უკვე მეოთხედფინალშია გასული. 19 წლის სერბს 11-ჯერ უთამაშია "დევისის თასზე", აქედან 8-ჯერ გამარჯვებული გამოსულა. სერბთა მეორე ნომერი 22 წლის **იანკო ტიპსარევიჩია**, მსოფლიოს 98-ე ჩოგანი. ტიპსარევიჩი ინდიან ველსში მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა, მაიამიში კი - მეორე წრეში. მესამე ნომერია **ილია ბოზოლიაცი** - 21 წლის, მსოფლიოს 118-ე ჩოგანი. მეოთხე - **ნენად ზიმონჯიჩი**, 31 წლის ვეტერანი, რომლის ადგილი მსოფლიო რეიტინგში შეცდომაში ნუ შეგვიყვანს, მართალია, ის მხოლოდ 520-ეა და ამ მაჩვენებლით ლადო ჩიხლაძეც უსწრებს, მაგრამ ნაკრებში რა მისიითაც არის აყვანილი, ამ მხრივ, მსოფლიოში ერთერთი საუკეთესოა - წყვილთა რეიტინგში ზიმონჯიჩი პლანეტის მეცხრე ჩოგანია. მოკლედ, ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთების საფუძველს არაფერი გვაძლევს.

პირველი მატჩები პარასკევს, 6 აპრილს ადგილობრივი დროით 13 საათზე იწყება (საქართველოს დროს ერთი საათით ჩამორჩება), წყვილთა მატჩი შაბათს 14 საათზეა, კვირის ერთეულები კი კვლავ - 13 საათზე. როგორც მოგახსენეთ, კორტის საფარი თიხნარია, ხოლო ბურთის ტიპი - Head ATP.

სერბებისა და ქართველების გზები ერთხელ უკვე გადაიკვეთა "დევისის თასზე". ეს იყო 2000 წლის მაისში ტუნისში, მაშინ ევროპა-აფრიკის მესამე ზონაში ჯერ კიდევ იუგოსლავიის ნაკრებმა 3:0 მოგვიგო. ჩვენს გუნდში **კონსტანტინე ბურჭულაძე, დავით კაჭარავა, ირაკლი უშანგიშვილი** და **ოთარ ენუქიძე** თამაშობდნენ (კარიერა ყველამ დაასრულა). სერბთა პირველი ნომერი კი ნენად ზიმონჯიჩი იყო, ნაკრებში იყო იანკო ტიპსარევიჩიც, თუმცა მხოლოდ მეოთხე ნომრად. მეორე ნომერი **დუშან ვემიჩი** იყო, ხოლო მესამე - **რელჯა დულიჩი**. ზიმონჯიჩმა იოლად 6:1, 6:3 მუგო ბურჭულაძეს, ხოლო ვემიჩმა - უშანგიშვილს - 6:3, 6:1. წყვილებში ტიპსარევიჩისა და დულიჩის დუეტმა ბურჭულაძესა და ენუქიძეს აჯობა - 6:2, 6:3. მოკლედ, შვიდი წლის წინათ სერბებმა ისე მოგვიგეს, სეტი არ დაუთმიათ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ხელბურთი

ახალგაზრდული ნაკრები

# უფულობა და სასჯელი

როგორც გუშინ გაცნობეთ, საქართველოს ხელბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები 6-8 აპრილს დანიაში, მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზებს. ეს ტურნირი= ევროპის ხელბურთის ფედერაციის თავდაპირველი გადაწყვეტილებით, უნდა გამართულიყო თბილისში. თუმცა რაკილა ეს სიამოვნება სადღაც 80 000 ლარამდე გვიჯდებოდა, მასპინძლობაზე უარი ვთქვით.

როგორც გუშინ შევიტყვეთ, არსებობს საფრთხე, რომ ჩვენი ახალგაზრდები ვერც დანიაში ჩავიდნენ. მიზეზი ისევ და ისევ უფულობაა. საქართველოს ხელბურთის ასოციაციას, ავიაბილეთებისა და ვიზების საკითხი, ფაქტობრივად, მოგვარებული აქვს, თუმცა აქაც იჩინა თავი მცირე პრობლემამ. საქმე ის არის, რომ დანიას საქართველოში საელჩო არ აქვს და ვიზები უკრაინაში კეთდება. შესაბამისად, დანიაში წასვლამდე, ჩვენი ხელბურთის ასოციაციიდან ვინმე კიევში უნდა ჩავიდეს ვიზების ჩამოსატანად. ეს საკითხი კი მოგვარდება უმტკივნეულოდ, მაგრამ ფინანსურ მხარეს რაც შეეხება, აქ ცოტა რთულადაა საქმე.

მართალია, ხელბურთის ასოციაცია ოპტიმისტურადაა განწყობილი, მაგრამ იმასაც აღიარებს, რომ დანიაში წასასვლელი ფული ჯერ არ აქვს და ამ დღეებში, აუცილებლად უნდა მოიძიოს.

რაც შეეხება იმას, თუ რა მოხდება ახალგაზრდული ნაკრების დანიაში არწასვლის შემთხვევაში, ღმერთმა ნუ ქნას და თუ ასე მოხდა, გვარიანი სასჯელი გველის. ევროპის ხელბურთის ფედერაცია სოლიდურ ფინანსურ ჯარიმას ხომ გადაგვახდევინებს და დისკვალიფიკაციასაც მოგვისჯის. ვიმედოვნებთ, აქამდე არ მივა საქმე.

სახელბურთო თემა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატით დავამთავროთ. გუშინვე გაირკვა, რომ სტუ-"შევარდენი" დღეისათვის იურიდიული დოკუმენტაციის მოგვარებას ვერ ასწრებს და, შესაბამისად, მესამე წრესაც ძველი სახელით შეხვდება. შეგახსენებთ, რომ ქვეყნის 16-გზის ჩემპიონი "თელავთან" გაერთიანებას და საშინაო მატჩების თელავში ჩატარებას აპირებს, რაც ამ მესამე წრის მსვლელობისას მოხდება, ან მეოთხე წრეში.

**კობა ხატისაშვილი**

## ქართული ჭიდაობა

# ნოვრუზობა კაბალში

ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალში, ნოვრუზობის დღესასწაულს ტრადიციულად ქართულ ჭიდაობაში გამართული ასპარეზობითაც აღნიშნავენ ხოლმე. წლევანდელ ზეიმზე ფალავნები შეიკრიბნენ თელავიდან, ყვარლიდან, ლაგოდეხიდან, ჩამოვიდნენ სტუმრები დაღესტნიდან. 1980 წლიდან ტურნირს ხელმძღვანელობს ქართული ჭიდაობის დიდი ტრფიალი, სპორტის ოსტატი **შაბან ნიაზოვი**. მის გარდა ქართულ ჭიდაობასა და ძიუდოს სოფლის ახალგაზრდობას უსასყიდლოდ ასწავლიან **ჯიმშერ მუმლაძე, მიხეილ ნადირაძე და გია წიკლაური**. მათ მხარში უდგას სოფლის გამგებელი **ჯემალ ნიაზოვი** და მთავარი სპონსორი, ტურნირის ათგზის გამარჯვებული, ქართული ჭიდაობის ქომაგი **ტელმან ქაზუმოვი**, რომელიც უცხოეთიდან სპეციალურად ჩამოდის ამ ასპარეზობაზე კაბალში.

ჭიდაობაში შეჯიბრების დაწყებამდე გაიმართა დოღი, რომელშიც 50-მდე მხედარი მონაწილეობდა. გაიმარჯვა **ლოლმან ალამედოვმა**.

ქართულ ჭიდაობაში უძლიერესები გახდნენ: **რაშით ისმაილოვი** (25 კგ. სოფ. ყარაჯალა), **გიორგი მუმლაძე** (28, სოფ. აფენი), **დავით მაისურაძე** (32, სოფ. გიორგეთი), **ნურხან ნიაზოვი** (36, სოფ. კაბალი), **კახა ცაგარელი** (40, სოფ. ახალსოფელი), **სერგო გოგოლაძე** (44, სოფ. გიორგეთი), **ალაიდინ მუსალიევი** (48, თელავი), **ალიკ ნანიევი** (52, სოფ. გიორგეთი), **ბუგარ ახმედოვი** (56, სოფ. კაბალი), **არიფ ნიაზოვი** (60, სოფ. კაბალი), **რაშათ მამედოვი** (65, სოფ. კაბალი), **რაჯუ რამაზანოვი** (70, სოფ. სარუსო), **ალიკ ბოხაშვილი** (75, სოფ. აფენი) და აბსოლუტური ფალავანი გახდა **გიორგი მოდებაძე** (სოფ. ლელიანი). ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ დასახელდა თელაველი **ალაიდინ მუსალიევი**.

**დიმიტრი დუნდუა,**
ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციის პრეზიდენტი



## პროფესიული კრივი

სარეიტინგო ორთაბრძოლები

# ჯომარდაშვილი თუ შონია?

საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაცია დღეს, ვერის ბაღში მდებარე დარბაზში, მორიგ სარეიტინგო ორთაბრძოლება გამართავს. დღესვე, გათამაშდება საქართველოს რიგით მესამე ქამარი ერთ-ერთ ყველაზე უფრო კონკურენტულ წონაში – 72 კილოგრამში. აქ ორი გამოკვეთილი ლიდერია – **ლევან შონია** და **შალვა ჯომარდაშვილი.** შესაბამისად, საქართველოს ქამარსაც ისისნი შეეცილებიან ერთმანეთს.

სხვათა შორის, შონიამ და ჯომარდაშვილმა შარშანაც იჩხუბეს და მაშინ, დაძაბულ ბრძოლაში ქულებით მოიგო ჯომარდაშვილმა. 16 აპრილიდან, შალვა და მისი ძმა **ლევან ჯომარდაშვილი** ამერიკის შეერთებულ შტატებში მიდიან, სადაც ლასვეგასის არენაზე რამდენიმე სარეიტინგო ბრძოლას გამართავენ. შალვა დღეს ალბათ ყველაფერს გააკეთებს, რომ ამერიკელებს თავისი პირველი ქართული ტიტულით ესტუმროს. თავის მხრივ, შონიაც საკმაოდ ძლიერი ახალგაზრდაა და ქამრისთვის ბრძოლა მასაც რეალურად შეუძლია.

დღეს გასამართი დანარჩენი ოთხი ბრძოლიდან კი ყველა სარეიტინგოა. აღსანიშნავია, რომ კვლავ გადაიდო აზერბაიჯანელთა სტუმრობა და ქალების კრივიც. როგორც წინა კვირას გაცნობეთ დღეისათვის ჩვენი მეზობლები ერთი გოგონას ჩამოყვანას აპირებდნენ, რომელსაც ქართველთან უნდა ებრძოლა. თუმცა აზერბაიჯანელებმა თბილისში ჩამოსვლა გადადეს.

**კობა ხატისაშვილი**

**დღეს**

**54 კგ. 4 რაუნდი**

თეიმურაზ საბაშვილი (გორი) – ხვიჩა პაპიაშვილი (თბილისი)

**62 კგ. 4 რაუნდი**

ბორის მდინარაძე (ვარიანი) – ნოდარ ცხოვრებაძე (დედოფლისწყარო)

**62 კგ. 4 რაუნდი**

დიმიტრი გულიაშვილი (ვარიანი) – უშანგი რურუა (თბილისი)

**66 კგ. 6 რაუნდი**

კობა ქარქაშაძე (ფოთი) – დავით ქადაგიძე (დედოფლისწყარო)

**72 კგ. 10 რაუნდი**

(საქართველოს ქამრისთვის)

ლევან შონია (სენაკი) – შალვა ჯომარდაშვილი (ვარიანი)

## თავისუფალი ჭიდაობა

# სარეკორდო ტურნირი

თბილისის ექვსი, ყვარლის, საგარეჯოს, წითელწყაროს, ახმეტის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, ქუთაისის, ამბროლაურის, ონის, ბათუმის, ქობულეთის, ხარაგაულის, წალენჯიხის, ზუგდიდის, გარდაბნისა და რუსთავის ნაკრები გუნდების 411 (სარეკორდო რაოდენობა) კადეტი მონაწილეობდა ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრის სპორტულ დარბაზში ჩატარებულ აფხაზეთში გმირულად დაღუპულის, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანის **იური ომანაძის** ხსოვნის მესამე ტრადიციულ ტურნირში თავისუფალ ჭიდაობაში, რომლის ორგანიზატორი იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომპლექსური სპორტული სკოლა №1 (დირექტორი **იოსებ ცატავა**).

გაგაცნობთ გამარჯვებულებს: **გიორგი ლეჟავა** (26 კგ. სამტრედია); **გიორგი გელაშვილი** (29, ხაშური); **ხვთისო იორამაშვილი** (32, გორი); **ბექა ბუჯიაშვილი** (35, გორი); **დავით ბუზიკაშვილი** (38, აფხაზეთი); **ლაშა ბეტარიშვილი** (42, თბილისი); **ალექსანდრე ხაჩატურიანი** (47, ყვარელი); **ირაკლი მოსიძე** (53, აჭარა); **დავით ნადირაძე** (53, საჩხერე); **შავლეგ გოგოხია** (66, აფხაზეთი); **გიგა ბურდული** (73, თბილისი); **არჩილ დავითაძე** (85, აჭარა); **გიორგი ლასერაშვილი** (მძიმე, საგარეჯო).

**ომარ ჩხაიძე**

ტურნირების მიმოხილვა

# უცნაური მარტის თვე

## ამერიკაში გაუგონარი ამბები მოხდა: კანიასმა ფედერერს სამ კვირაში ორი შეხვედრა მოუგო



გილერმო კანიასი

მარტი საჩოგბურთო სამყაროსთვის მეტად უცნაური თვე გამოდგა. სტატისტიკური ცნობარების კარგა ხანი ქექვა მოგვიწევს იმის გასაგებად, თუ როდის წააგო შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** ერთი თვის განმავლობაში ერთი და იმავე მეტოქესთან ზედიზედ ორი მატჩი (შეიძლება, ასეთი რამ საერთოდაც არ მომხდარა).

და აი, დადგა მარტი, როცა ტრადიციულად ამერიკაში ორი სუპერტურნირი იმართება. ინდიან უელსისა და მაიამის შეჯიბრებები, მასშტაბურობით ცოტათი თუ ჩამორჩება "დიდი სლემის" სერიის ჩემპიონატებს. ამ ტურნირებზე გამარჯვება ნებისმიერი ჩოგბურთელისთვის დიდი პატივია, მათ შორის, როჯერ ფედერერისთვისაც, რომელიც ოკეანის გაღმა შარშანდელი შედეგის გამეორებას აპირებდა. 2006 წელს, მან დუბლის შესრულება შეძლო.

მაგრამ წელს, ფენომენალური შვეიცარიელის იმედებს ასრულება არ ეწერა. ორივე შემთხვევაში მას წინ არგენტინელი **გილერმო კანიასი** გადაელობა. ინდიან უელსში კანიასმა მეორე წრეში დაამარცხა როჯერი და შეწყვიტა ამ უკანასკნელის 41-მატჩიანი მოგებათა სერია. მაიამიში კი, მათი გზები მერვედფინალში გადაიკვეთა.

მატჩის წინ, ფედერერმა განაცხადა: *"ეს ის შემთხვევაა, როცა არავითარ შემთხვევაში არ მაქვს წაგების უფლება".*

საბრძოლო განწყობა გილერმო კანიასსაც ჰქონდა, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ თუ ამჯერადაც მოუგებდა მსოფლიოს პირველ ჩოგანს, ისტორიაში შესვლა გარანტირებული ჰქონდა. აქამდე, არგენტინელი საჩოგბურთო სამყაროში სხვა მხრივ იყო ცნობილი - თავის დროზე, ის დოპინგის მიღებაში ამხილეს და 15-თვიანი დისკვალიფიკაციაც მისცეს. ამ სასჯელს სულ ახლახანს გაუვიდა ვადა. ცნობისთვის, სანამ დისკვალიფიკაციას მიიღებდა, კანიასი მსოფლიო კლასიფიკაციაში მერვე ადგილს იკავებდა.

გუშინდელი შეხვედრის დროს, ფედერერი ცალკეულ მომენტებში მეტოქეზე გაცილებით მაღალ კლასს აჩვენებდა და უფრო ოსტატურადაც თამაშობდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში კანიასი შეცდომებს პრაქტიკულად არ უშვებდა. მაგალითისთვის, როჯერს 16 ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ ოთხი გამოიყენა.

მესამე, გადამწყვეტ სეტში ფედერერი 2:0 დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ ოთხჯერ გაუშვა ხელიდან მეტოქის მოწოდებაზე გეიმის მოგების შანსი და კანიასს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა.

გადამწყვეტი მომენტი მესამე სეტის ტაი-ბრეიკში დადგა, როცა 5:4 არგენტინელი იგებდა. ფედერერს ორი მოწოდება ჰქონდა, მაგრამ უმარტივეს ეპიზოდში შეცდა და ბურთი ბადეს გაარტყა. კანიასმა ორი მატჩ-პოინტი მიილო და მეორე ცდაზე, უძლიერესი მოწოდებით გამარჯვება მოიპოვა.

*"მე თვითონაც გაკვირვებული ვარ იმით, რომ ზედიზედ ორჯერ მოვუგე მსოფლიოს პირველ ჩოგანს. რაიმე განსაკუთრებულ საიდუმლოს არ ვფლობ - უბრალოდ, ჩემი ჩოგბურთი ვითამაშე"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ კანიასმა.

ორი კვირის წინათ, ინდიან უელსში როჯერის დამარცხების შემდეგ, არგენტინელმა ორ სეტში წააგო მომდევნო მატჩი ესპანელ **კარლოს მოიასთან**. *"როცა როჯერი დავამარცხე, მეგონა, რომ ტურნირის გამარჯვებული გავხდი. ჟურნალისტები გასაქანს არ მაძლევდნენ, ყველას ინტერვიუს ჩაწერა სურდა. ამან ცოტათი მოადუნა ჩემი ყურადღება და მოიასთანაც ამიტომაც დავმარცხდი. ახლა ფედერერს მეორედაც მოვუგე და აღარ ვაპირებ ამისგან განსაკუთრებული მოვლენის შექმნას. შემდეგი მატჩისთვის ჩვეულებრივად მოვემზადები და შეცდომებს აღარ გავიმეორებ"*, - ამბობს 29 წლის კანიასი, რომელიც მეოთხედფინალში ესპანელ **ტომი რობრედოს** შეხვდება.

■ ■ ■

ისტორია განმეორდა ქალთა ტურნირშიც. ავსტრალიის წლევანდელი ღია პირველობის ფინალში, ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** 6:1, 6:2 გაანადგურა რუსი **მარია შარაპოვა** და ტრიუმფალურად დაბრუნდა დიდ ჩოგბურთში.

შარაპოვას რევანშის აღების შანსი მაიამიში მიეცა. მარიამ წინა წრეში, უილიამსების კლანის უფროსი წარმომადგენელი - **ვენუს უილიამსი** სამ სეტში დაამარცხა და ახლა სერენას გზიდან ჩამოშორებას აპირებდა. მაგრამ დამატებითი მოტივაცია ამერიკელსაც ჰქონდა, რომელსაც შური უნდა ეძია დის წაგებისთვის.

ვენდეტა მეტად სასტიკი გამოვიდა - სერენას 58 წუთი ეყო შარაპოვას გასანადგურებლად. რუსმა მხოლოდ ორი გეიმის აღება მოახერხა და კორტზე აშკარად დაბნეული ჩანდა. ყოველი წარუმატებელი გათამაშების შემდეგ, მარია ტრიბუნის იმ მხარეს იყურებოდა, სადაც მამამისი - **იური შარაპოვი** ეგულებოდა. ამ უკანასკნელს დანა პირს არ უხსნიდა და მკაცრი თვალებით უყურებდა ქალიშვილს.

ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ბოლო გათამაშების შემდეგ, სერენა უილიამსმა გამარჯვების ნიშნად ხელი მაღლა ასწია და დაიყვირა: *"მე ნომერ პირველი ვარ!"*

სხვათა შორის, 2007 წლის სეზონში, შარაპოვას ჯერ არცერთი ტურნირი არ მოუგია.

### ATP

**სონი ერიქსონის ღია**

მაიამი (აშშ). 19 მარტი-1 აპრილი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 450 000 დოლარი

**1/16 ფინალი**

**გილერმო კანიასი (არგ)**-როჯერ ფედერერი (შვეიც, 1) 7:6 (2), 2:6, 7:6 (5); **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ხუან მანუელ დე პოტრო (არგ) 6:0, 6:4; **ენდი როდიკი (აშშ, 3)**-დავიდ ფერერი (ესპ, 13) 7:5, 6:3; **ტომი რობრედო (ესპ, 6)**-რადეკ სტეპანეკი (ჩეხ, 24) 7:6 (4), 5:7, 7:6 (3); **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 7)**-იარკო ნიემინენი (ფინ, 20) 7:6 (4), 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 10)**-ფელისიანო ლოპესი 6:0, 6:3; **ენდი მარეი (ბრიტ, 12)**-პოლ ანრი მატიო (საფ) 2:6, 7:5, 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 23)**-ამერ დელიჩი (აშშ) 6:3, 6:2.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

რობრედო (6)-კანიასი; ლუბიჩიჩი (7)-ჩელა (23); როდიკი (3)-მარეი (12); ნადალი (2)-ჯოკოვიჩი (10).

### WTA

**სონი ერიქსონის ღია**

მაიამი (აშშ). 21 მარტი-1 აპრილი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 450 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**სერენა უილიამსი (აშშ, 13)**-მარია შარაპოვა (რუს, 1) 6:1, 6:1.

**1/4 ფინალი**

**ჟუსტინ ანენი (ბელ, 2)**-ნადია პეტროვა (რუს, 6) 7:6 (4), 7:6 (4); **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 9)**-ნა ლი (ჩინ, 15) 4:6, 7:5, 6:2.

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ვაშინგტონი-პიტსბურგი 3:4**

2:1, 0:3, 1:0

**გოლები:** 1:0 სიომინი-38 (ოვეჩკინი-44, ბიჩი-18), 2:0 გორდონი-6 (პეტინგერი-15, კ. კლარკი-22), 2:1 ულეტი-18 (კრისტენსენი-13, ორპიკი-5), 2:2 რაიან უიტნი-12 (კროსბი-78, მალკინი-49), 2:3 კროსბი-35 (მალკინი-50, გონჩარი-51), 2:4 რაიან უიტნი-13 (მელოუნი-14, ლარაკი-19), 3:4 იურჩინა-4 (სიომინი-34, კ. კლარკი-23).

**კოლორადო-ვანკუვერი 0:3**

0:0, 0:0, 0:3

